სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 8 მაისი 2008 №103 (3327) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ხომ ამერი და იმერია

თასის ფინალი, სამი წელია, ზესტაფონი და ამერია

გადარი კეთილაძის ფოტო

რაღა ბორჯომი და რაღა ომი

ორი წლის წინ ვიტჯორჯიელი პაატა დათუნაიშვილის მეუღლეს ბორჯომის სტადიონის ტრიბუნაზე შეურაცხყოფა მიაყენეს. დათუნაიშვილმაც ვაიგულშემატკივრებს აგინა. დისციპლინარებმა ფეხბურთელი ძალიან მკაცრად დასაჯეს, აი, სტადიონისა კი რა მოგახსენოთ...

მოგვიანებით „ბორჯომის“ ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, ქალბატონმა ფეხსაცმელი გაიხადა და გულშემატკივრებს დაერია, ჩვენი რეაქცია ოდენ ამის პასუხი იყოო...

წლევანდელი თასის პირველი ნახევარფინალური მატჩის მერე ბორჯომელთა მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე დაიმუქრა, ჩამოვა „ამერი“ ბორჯომში და ნახავს, ჩვენი გულშემატკივარი როგორც დახვდებაო...

სიტყვის კაცი ყოფილა ხაჩიძე...

მსგავსი აგრესია, რაც გუშინ ბორჯომში ვნახეთ, აქამდე არც ერთ სტადიონზე არ გვინახავს და, რაც უფრო დიდი უბედურებაა, სტადიონის ლოჟაში მსხდომნი რიგით მაყურებელს არაფრით ჩამორჩებოდნენ...

იყო ხელისა და „დუბინკების“ ქნევა და გარტყმა...

ნამატჩევს არათუ „ამერის“ ავტობუსი, „სარბიელის“ მანქანაც კი პატრულის დასაცავი და ქალაქიდან გასაცილებელი გახდა...

აი, მსაჯების მანქანას კი ვერავინ უშველა — საბურავები დაუხვრიტეს...

ამ დროს კი ზესტაფონში „დინამოს“ გოლი სჭირდებოდა, მაგრამ საგოლე ჟინისა ბევრიც არაფერი ეტყობოდა...

ზესტაფონი დინამოსთან, რა თქმა უნდა, ფინალშია

ყველაფერი შეთანხმებულია

ივანკოვიჩი მალე იტყვის: დიახ!

ბრანკო ივანოკოვიჩი ამჟამად ზაგრებშია, თუმც სავარაუდოდ, მალე ისევ ჩამოვა თბილისში — ალბათ, მომდევნო ორი წლით. ხორვატი მწვრთნელის ერთდღიანმა ვიზიტმა ბევრი რამ გაგვაგებინა: იგი სიამოვნებით უყურებს საქართველოს ნაკრებში მუშაობის პერსპექტივას და ეს არც დაუმალავს. ამ პერსპექტივის თაობაზე კი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას დავეკითხეთ...

ბრანკო ივანოკოვიჩის ფოტო

— რაღა დარჩა კონტრაქტის გაფორმებამდე?

— რაც შემიძლია გითხრათ ისაა, რომ ივანკოვიჩთან ყველაფერზე შეთანხმდით, მოლაპარაკების ყველა ეტაპი გავლილია, მათ შორის, ფინანსურიც. ივანკოვიჩს ხელფასის გარდა ბონუსებიც ექნება. მან დრო ითხოვა, ორბაშათ-სამშაბთს საბოლოო პასუხს გვეტყვის.

— შეთანხმების პროცესში დაბრკოლებები არ ყოფილა?

— არანაირი. ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

— ივანკოვიჩის თანაშემწეები ვინ იქნებიან?

— ამაზეც ვილაპარაკეთ. ივანკოვიჩს ვუთხარით, რომ ჩვენ ქართველი თანაშემწე გვსურს და მან ეს ჩვეულებრივად მიიღო, საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო. ოღონდ ვინ იქნებიან, ამას ჯერ ვერ გეტყვით.

— თემურ ქეცბაია?

— ქეცბაიასთან აუცილებლად ვისაუბრებთ და ვნახოთ...

— ესე იგი, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ივანკოვიჩი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია?

— იურიდიულად ჯერ არა, თუმც უკვე გითხარით, რომ შეთანხმება მიღწეულია.

— და 27 მაისს ესტონეთთან ამხანაგურ მატჩში ნაკრებს უკვე ეყოლება მწვრთნელი?

— აუცილებლად.

ილია ნანობაჟვილი

საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშების ფინალი

16 მაისი ეროვნული სტადიონი

ამერი — ზესტაფონი

ბილეთის ფასი 3.00 ლარი

დასაწყისი 20:00 საათზე





გუშინ ნალჩიკის „სპარტაკმა" რუსული პრემიერლიგის მატჩში ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას" სტუმრად 2:0 სძლია და ცხრილის შუა ნაწილში ააღწია, ლევან გვაზავას გუნდი კი ერთ-ერთი აუტსაიდერია.

გვაზავამ და ნალჩიკელთა ორმა ქართველმა, ალეკო ამისულაშვილმა და გოგიტა გოგუამ სრულად ითამაშეს, ხოლო „სპარტაკისავე" ფორვარდი დავით სირაძე სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა — საზარდული სტკიოდა და მწვრთნელმა ტალახიან მინდორზე მისი შეყვანა არ გარისკა. გოგუამ მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო; ძალიან იშვიათია მატჩი, გოგიტა რომელიმე ფერის ბარათი არ იხილოს...

და კიდევ, რუსული პრესა ეჭვობდა, ნალჩიკელებს ვლადივოსტოკში ამისულაშვილი არ ჩაჰვებაო. მიზეზს მიხვდებოდით: შარშან, 3 ნოემბერს „ლუჩ ენერგია" — „სპარტაკის" შეხვედრის შემდეგ ნალჩიკელთა გუნდის ფეხბურთელთა ჯგუფი ვლადივოსტოკის ერთ-ერთ სასტუმროში დარჩა, მეორე დილას კი ამ ქალაქში მცხოვრებმა გოგონამ, ვინმე ოლესიამ პოლიციაში იჩივლა, ნალჩიკელთა ფეხბურთელმა გამაუპატიურაო. ლაპარაკი ამისულაშვილზე იყო.

საბედნიეროდ, ალეკოს საქმე დაიხურა — პრიმორსკის მხარის პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გოგონა ბევრს ეცადა, რათა საჩივარი ძალაში შესულიყო, მაგრამ თავისას ვერ მიაღწიაო.

რის ოლესია და რის ამისულაშვილი

„აღნიშნულ საქმეში წერტილი დასმულია. სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში რჩება. ამ გოგონას ყველა პრეტენზია უსაფუძვლოდ ცნეს. უკვე მაშინ იყო ნათელი, რომ ამისულაშვილის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ შეიმჩნეოდა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ, მაგრამ ეს სისხლის სამართლის კოდექსით არ ისჯება. ასეთ დროს მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმით შემოფარგვლა შეიძლება" — აცხადებს პროკურატურა.

ილია ნანობაჟვილი

იტალია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

ლაციო 0:2 ინტერი (0:0)

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი XXXVI ტური

დეპორტივო 1:0 ლევანტე
ხეტაფე 4:2 ალმერია
ვალიოლიდი 2:1 ოსასუნა
რასინგი 0:3 სევილია
ბეტისი 1:1 ვალიადოლიდი
მურსია 1:2 ბილბაო
უელვა 0:2 ვილიარეალი
ვალენსია 1:0 სარაგოსა
რეალი 4:1 ბარსელონა

ჰოლანდია

გადასასვლელი პლეი ოფი

ზვოლე 1:0 დენ ბოსხი
ვალვაიკი 4:0 მაასტრიხტი
დენ ჰაგი 2:0 ვენლო

საფრანგეთი

თასის ნახევარფინალი

ლიონი 1:0 სედანი

შვედეთი

ალსვენსკა. X ტური

ჰელსინგბორგი 1:0 იორიბორო
გიოტებორგი 3:2 კალმარი
ტრელებორგი 0:2 ელფსბორგი
იურგორდენი 0:2 ჰამარბი

შკრანინა

თასის ფინალი

შახტარი 2:0 დინამო

სლოვენია

I დივიზიონი. XXXII ტური

პრიმორიე 3:0 ივანჩნა გორიცა
ინტერბლოკი 1:2 კოპერი
ნაფტა 1:0 დრავა ჰტუი
მარიბორი 0:1 დომჟალე
პუბლიკუმი 4:2 ნოვა გორიცა

გერმანია

ბუნდესლიგა. XXXII ტური

ლევერკუზენი 1:2 ჰერტა
ბაიერნი 2:0 არმინია
ინტრახტი 2:3 ვოლფსბურგი
ჰამბურგი 0:1 ვერდერი
ნიურნბერგი 2:0 დუისბურგი

II ბუნდესლიგა. XXXII ტური

აუგსბურგი 1:3 კიოლნი
ფრაიბურგი 0:1 ოფენბახი
ჰოფენჰაიმი 3:1 კოტბუსი
მაინცი 0:1 ალემანია
გლადბახი 3:0 ვეჰენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXXIII ტური

ბაბელსბერგი 0:0 მაგდებურგი
დორტმუნდი (მ) 0:2 ალენი
ემდენი 1:2 დიუსელდორფი
ერფურტი 3:0 ფირლი
ესენი 2:1 ჰამბურგი (მ)
ვუპერტალი 4:3 კოტბუსი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა XXX ტური

ინგოლშტადტი 2:1 აალენი
ზიგენი 1:2 ზანდჰაუზენი

რუსეთი

პრემიერლიგა. IX ტური

ლუჩ-ენერგია 0:2 ნალჩიკი
ტომი 0:0 ცსკა
ამკარი 1:0 სატურნი
ხიმკი 0:1 ტერეკი
დინამო 2:2 კრილია
ზენიტი — ლოკომოტივი
გადაიდო

თურქეთი

თასის ფინალი

გენჩლერი 0:1 ძაისერი

საბერძნეთი

სუპერლიგა
პლეი ოფი. IV ტური

არისი 4:0 აეკ
პანათინაიკოსი 3:0 პანიონიოსი

დანია

სუპერლიგა. XXIX ტური

მიდტიულანდი 2:1 რანდერსი
ოდენსი 1:1 ოსბიერგი
ბრონდბიუ 1:1 ვიბორგი

I დივიზიონი. XXIV ტური

აკადემისკი 2:1 ფრედი
ფკ ორჰუსი 0:2 ვაილე
ჰერფიოლდი 1:1 ფრედერისია
ჰელერუპი 0:0 ნიკიობინგი
ჰვიდოვრე 0:0 ნესტვედი
კოლდინგი 2:2 სიონდერისკე
იოლსტიკე 0:0 კიოგე
სილკებორგი 5:0 სკივე

შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

რეინჯერსი 1:0 მოზერუელი

I დივიზიონი. პლეი ოფი
ფინალი. I მატჩი

ერდრი 0:1 კლაიდი

II დივიზიონი. პლეი ოფი
ფინალი. I მატჩი

არბროთი 2:0 სტრანრარი

პოლონეთი

I ლიგა. XXIX ტური

კრაკოვია 3:0 ოდრა
გურნიკი 0:1 ზაგლებე
გროცლინი 0:0 ვისლა
იაგელონია 1:2 ლეგია
კორონა 1:1 ვიკევი
ლოკი 1:1 რუხი
პოლონია 2:2 ლეხი
სოსნოვიცი 0:0 ბელხატუვი

ჩეხეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები

სპარტა 1:0 ბოჰემიანსი (1:0)
ლიბერეცი 2:1 ბრნო (2:2)

ხორვატია

თასის ფინალი. I მატჩი

დინამო 3:0 ჰაიდუკი

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

www.pfl.ge

ბორჯომი. 7 მაისი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 1000 მაყურებელი

ბორჯომი 1:1 ამერი (1:4)

0:1 დოლიძე (7), 1:1 მეგრელაძე (13)

ბორჯომი: სეფიაშვილი, კირთაძე (ლომიძე 89), კაკუბავა, ქარქუზაშვილი, თედიაშვილი, ჩხეტიანი, ჩირიკაშვილი, გრიგალაშვილი (გოგიჩაიშვილი 82), ჯუსი, მეგრელაძე, ქავთარაძე (გუგავა 63)
სათადარიგონი: დათუაშვილი; ნასყიდაშვილი, ბოლქვაძე
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

ამერი: ნადირაშვილი, მემარნიშვილი, მესხი, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დიდავა, შალამბერიძე, დეკანოსიძე, დოლიძე (ალავიძე 83), დავითაშვილი (ჩიმიკაძე 90), გოცირიძე (ტატანაშვილი 67)
სათადარიგონი: ქვაჩახია; სილაგავა, გვაძაბია, კაკაშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: შალამბერიძე (45), ჩიკვილაძე (56), კაკუბავა (80), დიდავა (83)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე, ო. ხეცაძე

დამკვირვებელი: ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ბ. მჭედლიშვილი



გრიგოლ დოლიძის გოლი

ფოტო: ალექსანდრე ოყაზ

ამერმა ბორჯომში ფინალი მოითმინა

ისტორია მესამდება: ვისი იქნება ეს მაისი?

კობა ინასარიძე ბორჯომიდან

ჩამოხვალთ ბორჯომში და ნახავთ, რა დღეც იქ დაგადგეთო, ასეთი მუქარა ერთი და ორი არ ყოფილა საქართველოს თასის ნახევარფინალში „ამერი“ — „ბორჯომის“ პირველი შეხვედრისას... თუ გახსოვთ, მაშინ „ბორჯომის“ ფორვარდი ჯუსი არბიტრმა ქომაგის შეურაცხყოფისთვის ნაადრევად დაითხოვა მოედნიდან და სტუმართა მხარდამჭერებიც ამან აღაშფოთა. ის მატჩი „ამერმა“ 4:1 მოიგო და აგერ, საპასუხო შეხვედრის დროც დადგა.

ვერაფერს იტყვი, „ბორჯომის“ ვაიქომაგებს მართლაც შესაშური მახსოვრობა ჰქონიათ და თბილისური მუქარა გუშინ „სისრულეშიც“ მოიყვანეს. სტადიონზე მყოფთა ერთმა ჯგუფმა მსაჯებისა და სტუმარი გუნდის სიტყვიერი შეურაცხყოფა რომ არ იკმარა, მერე უკვე ძალისმიერ მეთოდებზე გადავიდა და... შესვენებაზე, როცა გუნდები მოედნიდან გასახდელის გზას მიუყვებოდნენ, ამბებიც მაშინ დატრიალდა.

ამერელებს გავეშებული ბრბოსთვის არანაირი ხურდა არ დაუბრუნებიათ, სამაგიეროდ კი „ამერის“ მისამართით ნასროლი დოლი დავინახეთ. ამას ამერელთა მხარდამჭერები გამოექომაგნენ და ღმერთის ნება რომ არა, ვინ იცის, იქ უბედურება დატრიალებულიყო. პოლიციელები სტადიონზე კი იყვნენ, მაგრამ რატომღაც, საქმეში ისინი სასხვათაშორისოდ ჩაერივნენ, მოედანსა და ტრიბუნის გამყოფ მესერს იქით იყვნენ და, მოჩხუბართა გაშველებას იქიდან თუ ცდილობდნენ. სტუმრები კი ტრიბუნასა და იმ მესერს შუა მოექცნათ და... ძალიან ცუდი ამბავი მოხდა შესვენებისას, რასაც წესითა და რიგით შესაბამისი რეაქციაც უნდა მოჰყვეს.

თამაში კი... თავად განსაჯეთ, იმ ბიჭ-ბუჭობის გარდა, ბორჯომის სტადიონზე ნაღდი ქომაგებიც იყვნენ და მათ, ნამატჩევს, ამერელები ტაშიც გააცილეს, თბილისელებმა უფრო დაიმსახურეს და ფინალშიც ამიტომ არიან. სასურველი შედეგისთვის ცდა და მონდომება არც „ბორჯომის“ ფეხბურთელებს დაუკლიათ, მაგრამ გუნდთან, რომელსაც ბორჯომში აქამდე არ მოეგო, ვერაფერს გახდა.

„ამერს“ შარშან ამ დროს კარგი გაკვეთილი ბოლნისში „სიონმა“ ჩაუტარა. მაშინაც თასის ნახევარფინალი იყო და „ყვითლებიც“ საპასუხო მატჩის წინ ერთი შეხედვით სოლიდურ უპირატესობას ფლობდნენ — თბილისური შეხვედრა „ამერმა“ 3:0 მოიგო, მაგრამ საპასუხოც 0:3 წააგო და დამატებით დროში სულიკო დავითაშვილის გოლი რომ არა, ეგებ უფინალოდაც დარჩენილიყო.

„ამერმა“ ამჯერად ფოცხს ფეხი აღარ დააბიჯა და ბორჯომში ისეთი მობილიზებული ჩავიდა, სათამაშო დისციპლინა უშვერი გინების, შეურაცხყოფისა და უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის მიუხედავადაც არ დაურღვევია — ნაღდი კი არა, სტუმრებმა საკუთარ კართან მასპინძლებს ისე რა მომენტიც არ შეაქმევინეს.

გიორგი ჩიხრაძის შეგირდებმა საიმედოდ გადაკეტეს კარის მისადგომები და თამაშის დაწყებიდან შვიდ წუთში ორმატჩიანი სხვაობა კიდევ უფრო გაზარდეს. ასე იყო: ბორჯომელმა ირაკლი ჩირიკაშვილმა ბურთი მეტრქის საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც გიორგი დეკანოსიძემ იმარჯვა და ხიფათი თავით უკუაგდო. საპირისპირო კარისკენ ბურთი კობა შალამბერიძემ წაიღო, ვისაც დავითაშვილიც აჰყვა და ფლანგიდან შეუტია. პარალელურად კი გრიგოლ დოლიძეს ჰქონდა სისწრაფე აკრეფილი და მისი მისამართით დავითაშვილის უზუსტესმა პასმაც არ დააყოვნა — დოლიძის დარტყმული მეკარისთვის აუღებელი გამოდგა.

ბორჯომელთაგან ვაიქომაგნი ამ გოლის შემდეგ კიდევ უფრო დაიბღმნენ და გინებაც მეტი ჟინით გააგრძელეს.

რამდენიმე წუთში კი „ბორჯომის“ გოლიც ვნახეთ. მარცხენა ფლანგიდან გივი ჩხეტიანის ჩაწოდებულზე გიორგი მეგრელაძემ მეკარეს თავით დაასწრო — 1:1. მატჩში ანგარიში კი გათანაბრდა, მაგრამ ფინალისთვის „ბორჯომს“ კიდევ ოთხი უნდა გაეტანა.

როგორც ვთქვით, „ბორჯომს“ სტუმართა კართან მომენტი არც ჰქონია და შეტევისკენ მით უმეტეს, არც „ამერი“ იწევდა.

შესვენებაზე ჩხუბი იყო, მწვრთნელებს კი შეცვლები არ გაუკეთებიათ.

მეორე ტაიმში ბურთს მასპინძლები აკონტროლებდნენ და ჯერ ფლანგებიდან, მერე შუიდან ცდილობდნენ ხეირს გამორჩენოდნენ — არაფერი გამოუვიდათ. მცველთა დეფიციტის პირობებში, რაკი „ამერს“ გიორგი დავითნიძე და ლადო კაკაშვილი აკლდა, ცენტრალური მცველის პოზიციაზე მიხეილ მესხმა ითამაშა და შეიძლება ითქვას, უშეცდომოდაც — მან თითქმის ყველა ბრძოლა მოიგო და თენგიზ ჩიკვილაძესთან ერთად, შუიდან მეტოქე კარს არ გააკარა — ცხადია, „ამერს“ ფლანგებიც გადაკეტილი ჰქონდა.

უშედეგო შეტევებში გართული „ბორჯომი“ კი რევაზ გოცირიძეს შეეძლო დაესაჯა. შალამბერიძის მარცხნიდან პასსზე მხოლოდ ფეხის დახვედრებაც საკმარისი იქნებოდა გოლის გასატანად, მაგრამ რეზომ ბურთის გაჩერება ამჯობინა და მერე დაარტყა, რასაც მცველის თავგანწირული ნახტომი მოჰყვა, რომელმაც „ბორჯომი“ იხსნა...

რამდენიმე წუთში ლადო ნადირაშვილის კარისკენ გიორგი გუგავამ დაარტყა, მაგრამ მეკარემ უშეცდომოდ ითამაშა...

მატჩი დამთავრდა და „ამერმა“ ბორჯომში ისევ ვერ მოიგო, თუმც საქართველოს თასის ფინალში გასასვლელად ეს ანგარიშიც საკმარისი იყო.

მატჩის შემდეგ კი თბილისელებს ვითომქომაგების მეორე შეტევა ელოდათ. საამისო მცდელობა და აგრესიაც საკმაოდ უხამსი სიტყვებით გამოიხატებოდა, თუმც პოლიციამ სტუმრების უსაფრთხოება უზრუნველჰყო. სტადიონის შემოგარენს ეს ბიჭბუჭობა არ სცილდებოდა და ავტობუსის დალეწვის მცდელობაც იყო, მაგრამ ბორჯომის პოლიციამ გუნდი ქალაქს მშვიდობიანად გაარიდა.

აი, ასეთი უმძიმესი და რია-რიებით დატვირთული საპასუხო მატჩი გამოვიდა.

შესვენებისას...

ბადრი ჯიბლაძის ფოტოები

რევაზ გოცირიძემ უნაღდესი მომენტი ვერ გამოიყენა

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

ბალდასარ ბაკვლიანის ფოტო

რობერ ონიანის სფინალური გოლი

ზესტაფონი. 7 მაისი. 16 საათი. ცენტრალური. 9 000 მაყურებელი

ზესტაფონი 1:0 დინამო (1:1)

1:0 ონიანი (62)

ზესტაფონი	დინამო
ქანტურია, თოდუა, უ. ლობჟანიძე, ე. საჯაია (შ. ღონღაძე 75), აკუასაგა, რ. ონიანი, გ. ხიდეშელი, კესანი (დაუშვილი 78), კვასხვაძე, ტორესი (იონანიძე 53), ბ. გოცირიძე	ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, კრშკო, გველესიანი, ფირცხალავა, ნერგაძე (თომაშვილი 80), ოდიკაძე (დობეში 89), ხუციშვილი, ვაწაძე, აკირემი (ქანთარია 72)
სათადარიგონი: რ. კვასხვაძე; სანტოსი, გელაშვილი, ბიტოო	*სათადარიგონი:* ლორია; ნ. ჯიშკარიანი, გ. ჯოხაძე, გეთიაშვილი
მწვრთნელი: თემურ მახარაძე	მწვრთნელი: დუშან უჰრინი

გაფრთხილება: ხუციშვილი (20), ფირცხალავა (22), საჯაია (29), ოდიკაძე (37), შ. კაშია (58), კესანი (63)

მსაჯები: ლ. სილაგავა, ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი, დ. ხარიტონაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; **დირექტორი:** სოსო ფილია

დინამომ გოლი და ზესტაფონი ფინალში გაუშვა

ბალდასარ ბაკვლიანის ფოტოები

ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან

ამ გუნდების რამდენიმე დღის წინანდელ დაპირისპირებას 9 ათასი მაყურებელი დაესწრო და არც გუშინ ყოფილა ნაკლები. სანამ მატჩი დაიწყებოდა, გულშემატკივარი შოუმენმა ნიკა ქავთარაძემ „დაქოქა“ და მასპინძელ ფეხბურთელებს ქომაგობა ბოლომდე არ მოჰკლებია.

მოგეხსენებათ, თბილისური მატჩი 1:1 დასრულდა და დინამოელებს სულ მცირე, ერთი ბურთის გატანა სჭირდებოდათ, თუმცა 90 წუთი ისე გაილია, რეალური შანსი არ მისცემიათ.

რამდენიმე დღის წინანდელი მატჩისგან განსხვავებით, „ზესტაფონი“ შეტევაზე იყო დაგეშილი...

მასპინძლებმა მე-5 წუთზე გაიტანეს. ნიკა კვასხვაძემ და გიორგი ხიდეშელმა კუთხური გაითამაშეს, ხიდეშელმა მათე ვაწაძეს აუარა გვერდი და კარში დაარტყა. მეკარის სიახლოვეს მყოფმა პოლ კესანმა ბურთს ფეხი წაჰკრა და — გოლი. ზესტაფონელებმა იზეიმეს კიდეც, თუმც ლევან მიქელაძეს ალამი ჰქონდა აღმართული და გოლიც გაუქმდა.

მე-10 წუთზე კვასხვაძემ დაარტყა კარში, დიდიე ოვონომ ბურთი ვერ შეიმაგრა, 30-ე წუთზე დავით ოდიკაძემ ჯარიმა დაარტყა სახიფათოდ, ბურთი ერთ-ერთ ზესტაფონელს შეეხო და კუთხურზე გადავიდა, თუმც „დინამოს“ არაფერი არ გამოუვიდა.

მეორე ტაიმი გაცილებით თვალსასაჩინო გამოდგა და „ზესტაფონმაც“ იხეირა. თბილისელები ხელოვნურ თამაშგარეს აკეთებდნენ, გიორგი ხიდეშელმა მშვენიერი გადაცემით როინ ონიანი გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე და —1:0.

გოლის მერე კვასხვაძემ მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა, იონანიძემ იბრძოლა, დაარტყა, მაგრამ გურამ კაშიამ ბურთს ფეხი მიარტყა და ავტოგოლისგან „დინამო“ ძელმა იხსნა.

ბოლო წუთებში „დინამომ“ ვითომ მოინდომა, მაგრამ...

მაშ ასე, „ზესტაფონი“ ზედიზედ მეოთხედ გავიდა თასის ფინალში და როგორც ითქვა, 16 მაისს „ეროვნულზე“ 10 ათას ზესტაფონელს უნდა ველოდოთ.

პრესკონფერენცია

დუშან უჰრინი: მეტოქეს ფინალში გასვლას ვულოცავ. დღეს „ზესტაფონი“ უკეთესი იყო, ტრავმების და დისკვალიფიკაციის გამო რამდენიმე ფეხბურთელი დაგვაკლდა. სპასოევიჩსა და ზელიჩს შესაძლოა, ოპერაცია დასჭირდეთ. ნახევარდაცვაში ორი ახალი ფეხბურთელი ვათამაშეთ, თუმც თავდამსხმელები ჰასებით ვერ მოამარაგეს.

თემურ მახარაძე: მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ და მთელი ზესტაფონი გავახარეთ, ჩემმა ფეხბურთელებმა დღეს მაქსიმუმი გააკეთეს. საქმე პირველი მატჩის შედეგმაც გაგვიადვილა.

„ამერი“ კარგი გუნდია და ღირსეული ფინალი იქნება.

ძოძუაშვილის ყაზახეთი შორდება
ბალტია ერთი ძვეშანია?

ყარაგანდის „შახტიორში“ ორიოდ კვირის წინ სამი ქართველი იყო — მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი და ფეხბურთელები, ლევან მელქაძე და ლაშა ნოზაძე. ახლა ერთიღა დარჩა: ნოზაძე. მელქაძემ ამასწინათ დატოვა კლუბი, გუშინ კი... დიახ, რევაზ ძოძუაშვილი ყაზახური კლუბიდან წავიდა.

„შახტიორი“ კი სკანდალებშია. კლუბი „ოკუპტესის“ მწვრთნელის მოსყიდვის მცდელობაში დაადანაშაულეს, რისთვისაც 6 თვით აუკრძალეს ფეხბურთში საქმიანობა და 600 ათასი ტენგეთიც დააჯარიმეს. ამას „შახტიორის“ პრეზიდენტ გრიგოლ ლორიას აღშფოთება მოჰყვა, გუშინ კი ძოძუაშვილმა ჩაალაგა ბარგი.

ძოძუაშვილმა გამოსამშვიდობებელი ინტერვიუც მისცა ყაზახურ გაზეთს, რომელსაც მოკლედ გთავაზობთ:

— რატომ გადაწყვიტეთ „შახტიორიდან“ წასვლა?

— შარშან ყველას დავპირდი, გუნდი სამეულში გავა და ევროთასებზე ითამაშებს-მეთქი. დაპირება შევასრულე, წლეულს კი გულშემატკივრებს ვუთხარი, რომ ჩემპიონობისთვის ყველაფერს გავაკეთებდი, თუმც სეზონი წარუმატებლად დამეწყო, ვერ ვიტანდით. წავიდა ორი წამყვანი თავდამსხმელი. სხვებს ტრავმები დაერიათ, მათ ნაცვლად ნაკრების ფეხბურთელები მოვიყვანეთ, მაგრამ დროულად შეთამაშების პრობლემამ წამოიწია. გულშემატკივრების მოტყუებას წასვლა ვარჩიე. ჩემი ნებით დავწერე განცხადება — ვფიქრობ, გუნდისთვის ასე უკეთესია.

— გუნდიდან რა შთაბეჭდილებებით მიდიხართ?

— თავაწეული მივდივარ. ჩემი ხელმძღვანელობით, „შახტიორმა“ 12-წლიანი შესვენების შემდეგ მოიგო ბრინჯაოს მედლები. ჩემი ლანძღვის უფლება არავის აქვს. უბრალოდ, მწვრთნელისთვის არსებობს ნავსიანი წელიწადი და ასეთი მქონდა წლეულს.

— ყაზახეთის ჩემპიონატის დონეზეც გვითხარით.

— ვფიქრობ, საბჭოეთის დაშლის შემდეგ ლიდერთა ხუთეულში შედის — რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის და ბალტიისპირეთის შემდეგ.

— ყაზახური ფეხბურთის სკოლა ქართულისგან რით განსხვავდება?

— კლიმატით. როცა თქვენებური მოსწავლეები ჰოკეის თამაშობენ, ჩვენები ფეხბურთით ერთობიან. ამიტომაც, ქათრველები უფრო ტექნიკურები არიან, ყაზახები კი — გამძლეები.

— კიდევ რას გაიხსენებთ ყაზახეთში გატარებული პერიოდიდან?

— აქ წელი გამიცივდა და ეს ტკივილი ხელს მიშლიდა მუშაობაში, განსაკუთრებით ჩემპიონატის სტარტზე. იქნებ ესეც ერთ-ერთი მიზეზია წლევანდელი წარუმატებლობისა.

ილია ნანობაჯვილი

დორტმუნდმა ორი შავი გაათეთრა

გერმანია

ბუნდესლიგა. XXXII ტური

ბოხუმი 0:3 შალკე

0:1 ასამოა (34), 0:2 რაკიტიჩი (67), 0:3 ბორდონი (85)

ბოხუმი: ლაშტუვკა, პფერცელი, მალტრიცი, იაია, ჰ. ბიონიგი (გროტე 62), ცდებელი, აზაუაგი (ო. შრიოდერი 74), დაბროვსკი (მაისელი 82), ონო, ეპალე, შესტაკი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ჰალილ ალთინთოფი, ფ. ერნსტი, რაკიტიჩი, ასამოა (სანჩესი 85), კურანი (ლარსენი 81)

მწვრთნელი: მიხაელ ბიუსკენსი

გაფრთხილება: იაია, კრსტაიჩი, შესტაკი

მსაჯი: კირხერი

31 328 მაყურებელი

კარლსრუე 1:1 კოტბუსი

0:1 რივიჩი (60), 1:1 ბუკი (65)

კარლსრუე: მ. მილერი, ა. გიორლიცი, ეგიმანი, ფრანცი, აინხერი, მუტცელი (პორკელიო 79), ს. ბუკი, ფრაისი, ჰაინალი, **იაშვილი**, კაპლანი

მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი

კოტბუსი: ტრემელი, და სილვა, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ზიბიგი, ს. ანგელოვი, ტ. როსტი, რივიჩი (ვასილიევიჩი 90), შკელა, დ. სორუნსენი (რადელჩი 87), პაპადოპულოსი (რანგელოვი 46)

მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი

გაფრთხილება: ფრანცი, და სილვა, ბუკი, ანგელოვი, ზიბიგი, მიტრესკი, ცვიტანოვიჩი

მსაჯი: პერლი

28 000 მაყურებელი

დორტმუნდი 3:2 შტუტგარტი

1:0 ტინგა (35), 1:1 გომესი (55), 2:1, 3:1 ფრაი (59, 79), 3:2 გომესი (83)

დორტმუნდი: ჰიოტეკე, რუკავინა, ჰუმელსი, რ. კოვაჩი, დედე, კრუშკა, ბლაშჩიკოვსკი (ამედიკი 90), ტინგა, ფედერიკო (ბაკალ 90), ფრაი, ვალდეზი (გორდონი 84)

მწვრთნელი: თომას დოლი

შტუტგარტი: რ. შეფერი, ბეკი, ტასკი (ფ. მორა 13), ფელპერი, ბოკა, პარდო, ჰილბერტი (ჰიცლშპერგერი 63), და სილვა (მარიკა 80), ბაშთურქი, კაკუ, გომესი

მწვრთნელი: არმინ ფეე

გაფრთხილება: კრუშკა, მორა, ვალდეზი, პარდო, ჰუმელსი, გომესი, ჰიცლშპერგერი, მარიკა

მსაჯი: კემპტერი

64 400 მაყურებელი

ჰანოვერი 3:0 ჰანზა

1:0 ბალიტჩი (19), 2:0, 3:0 როზენტალი (47, 87)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ისმაელი, ვინისიუსი, კ. შულცი, ლალა, ბალიტჩი (როზენტალი 41), ჰუშტი, ბრუგინკი (კრებსი 82), შტაინერი (ლაუტი 73), ჰანკე

მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი

ჰანზა: ჰანელი, ბიულოვი (აგალი 59), სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი, რატგები, ბარტელსი, იელენი (შაპურზადეჰი 59), რანი, ცეტკოვიჩი, კერნი

მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი

გაფრთხილება: შულცი, რატგები, ორესტესი, ბარტელსი

მსაჯი: ბრიხი

35 453 მაყურებელი

20 ოქტომბრის შემდეგ „ბოხუმს“ შინ არ წაეგო და სამშაბათს „შალკემ“ მარცხის გემო გაახსენა.

ეს იყო ზედიზედ მეორე მატჩი, რომელშიც ბოხუმელებმა გოლი ვერ გაიტანეს.

„შალკემ“ წინა ტურში „ჰანოვერთან“ ორი ქულა დაკარგა და გამარჯვება აუცილებლად სჭირდებოდა, რათა მეორე ადგილისთვის ბრძოლიდან არ გამოთიშულიყო. მასპინძლებს ბუნდესლიგიდან გავარდნა აღარ ემუქრებათ და თავს მოსაგებად ძალა მაინცდამაინც ვერ დაატანეს.

აღსანიშნავია, რომ „ბოხუმს“ ამ სეზონში შინ მხოლოდ „ბაერნთან“ ჰქონდა წაგებული.

ანგარიში ჯერალდ ასამოამ თავური დარტყმით გახსნა. ივან რაკიტიჩმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, სტუმართა ფორვარდმა კი კარიდან გამოსული იან ლაშტუვკა მოძრაობაზე დაიჭირა.

მეორე გოლი ჰალილ ალთინთოფმა შექმნა: ცენტრის ხაზიდან იარა, საჯარიმოში შესულმა მეკარე გამოიტყუა და ბურთი გვერდით, რაკიტიჩს მიაწოდა, რომელმაც ცარიელ კარში შეაგორა.

მარსელო ბორდონმა კი სხვაობა სამამდე გაზარდა. მარჯვნიდან საჯარიმო შეასრულეს და „შალკეს“ მცველმა შორეულ ძელთან ბურთს თავი საგოლედ დაუხვედრა.

„დორტმუნდმა“ „შტუტგარტის“ ძლევით ერთბაშად ორი შავი სერია შეწყვიტა: ბუნდესლიგაში მიჯრით ხუთ ტურში არ მოეგო, ეს გუნდი კი შინ 2002 წლის აქეთ არ დაემარცხებინა.

დორტმუნდელებმა ამ გამარჯვებით ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს, ხოლო „შტუტგარტი“ წაგებამ საბოლოოდ დააშორა ჩემპიონთა ლიგის საგზურს და ახლა შვაბებმა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ უეფას თასიც გვერდზე არ დარჩეთ.

მასპინძელთა პირველი გოლი აუტს მოჰყვა. ბურთი ჯოვანი ფედერიკომ საჯარიმოს წინა ხაზთან მიიღო და ტინგას შეუყოლა, რომელმაც დაბალ კუთხეში გაიტანა.

მარიო გომესმა იშვიათი თავურით გაათანაბრა. ბურთი მისი მუხლის სიმაღლეზე ჩააწოდეს კარის წინ, მან კი დაიჩოქა და თავით შეაგდო.

ოთხ წუთში ალექსანდრ ფრაიმ კოხტად შესრულებული საჯარიმოთი „დორტმუნდი“ ისევ დააწინაურა და მერე სხვაობა ორამდე გაზარდა, როცა ვალდესმა დასარტყმელად კარიდან ათ მეტრში დაუგორა.

მეკარესთან პირისპირ გასულმა გომესმა მეორე შეაგდო, მაგრამ გასათანაბრებლად „შტუტგარტს“ დრო აღარ ეყო.

ჰანოვერში მარცხის შემდეგ როსტოკის „ჰანზას“ ბუნდესლიგაში დარჩენის წერტილისოდენა შანსიღა დარჩა. გუნდმა ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია და ცალი ფეხით ქვედა ლიგაშია.

„ჰანოვერი“ ჰანო ბალიტჩმა დააწინაურა — მეკარის მოგერიებულს დაამატა, მერე კი იან როზენტალმა დუბლი შეასრულა: ჯერ ფეხით გაიტანა, შემდეგ — თავით.

„კარლსრუემ“ მიჯრით მეხუთე საშინაო მატჩში ვერ მოიგო, ამჯერად ქულა „კოტბუსს“ გაატანა, რომელსაც გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ქომაგობს. კოტბუსელებს კიდევ სამი ქულა სჭირდებათ საიმისოდ, რომ მომავალი სეზონი კვლავ ბუნდესლიგაში გაატარონ.

ვაჟა ხუციშვილი

ბაიერნი	31	19	10	2	59:18	67
შალკე	32	16	10	6	52:32	58
ვერდერი	31	17	6	8	67:44	57
ჰამბურგი	31	13	12	6	40:23	51
შტუტგარტი	32	16	3	13	55:51	51
ლევერკუზენი	31	14	6	11	54:36	48
ჰანოვერი	32	12	10	10	49:50	46
ვოლფსბურგი	31	12	9	10	47:42	45
კარლსრუე	32	11	10	11	37:43	43
აინტრახტი	31	11	10	10	37:44	43
დორტმუნდი	32	10	9	13	46:56	39
ჰერტა	31	10	8	13	35:39	38
ბოხუმი	32	9	11	12	44:51	38
კოტბუსი	32	8	9	15	33:52	33
არმინია	31	8	8	15	31:54	32
დუისბურგი	31	8	5	18	32:46	29
ნიურნბერგი	31	6	10	15	33:48	28
ჰანზა	32	7	6	19	27:49	27

წუხანდელი მატჩები გვიან დასრულდა და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის

II ბუნდესლიგა. XXXII ტური

აუე — კარლ ცაისი 5:0; ლაუტერნი — ზანქტ პაული 2:0, ოსნაბრიუკი — ფიურტი 0:0; პადერბორნი — მიუნხენი 3:1

გლადბახი	31	16	12	3	63:33	60
მაინცი	31	15	10	6	57:32	55
კიოლნი	31	15	9	7	57:40	54
ჰოფენჰაიმი	31	15	8	8	51:38	53
ფრაიბურგი	31	14	10	7	46:39	52
ფიურტი	32	13	10	9	50:40	49
ალემანია	31	12	9	10	45:41	45
კობლენცი	31	11	10	10	40:41	43
ზანქტ პაული	32	11	9	12	46:46	42
ვეჰენი	31	10	10	11	44:49	40
მიუნხენი	32	9	12	11	40:43	39
აუგსბურგი	31	10	7	14	35:44	37
ოსნაბრიუკი	32	9	9	14	39:53	36
ლაუტერნი	32	8	11	13	32:35	35
ოფენბახი	31	8	10	13	36:56	34
აუე	32	7	9	16	46:54	30
პადერბორნი	32	6	12	14	30:50	30
კარლ ცაისი	32	6	9	17	42:65	27

წუხანდელი მატჩები გვიან დასრულდა და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის

რაკიტიჩმა (მარცხნივ) საგოლე პასის შემდეგ თავადაც გაიტანა

სტივ ბრიუსი ყოფილი მანჩესტერელია

უიგანი მანჩესტერთან მოსაგებად იბრძოლებს

პრემიერლიგის ბოლო ტურში „მანჩესტერ იუნაიტედი“ „უიგანს“ სტუმრობს და მოგების შემთხვევაში, იმის მიუხედავად, თუ როგორ დამთავრდება „ჩელსისა“ და „ბოლტონის“ მატჩი, მეჩვიდმეტედ გახდება ინგლისის ჩემპიონი.

„უიგანს“ „მანჩესტერის“ ყოფილი კაპიტანი სტივ ბრიუსი წვრთნის და პრესასა თუ კლუბებში ლაპარაკობენ, უიგანელები, რომლებიც, ფაქტობრივად, უმოტივაციოდ არიან, თავს არ მოიკლავენ და „წითელ ეშმაკებს“ სამ ქულას დაუთმობენო.

„პრესაში გავრცელებული ჭორები აბსოლუტურად უსაფუძვლოა. თუ გსურთ, თავად ფეხბურთელებს ჰკითხეთ, როგორი განწყობა აქვთ, ისინი მინდორზე ბოლომდე დაიხარჯებიან. თუ შევძლებთ „მანჩესტერის“ დამარცხებას, ამას რა აჯობებს. ამ მატჩს ძალიან სერიოზულად ვუდგებით. „ჩელსის“ ბანაკში რასაც უნდა ამბობდნენ, საკუთარ კედლებში ყოველთვის ნებისმიერი მეტოქის დასამარცხებლად ვთამაშობთ“ — თქვა „უიგანის“ პრეზიდენტმა დეივ უილანმა.

„უიგანელები პრემიერლიგაში თავის საქმეს პატიოსნად გააკეთებენ. ისინი მინდორზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხების სურვილით გავლენ. ჩვენ მთელი სეზონი თავდაუზოგავად ვშრომობდით და ვიბრძოდით. ამიტომ, გული ძალიან დაგვწყდება, თუ „უიგანი“ უნიათოდ ითამაშებს“ — ეს კი ორშაბათს, „ნიუკასლთან“ მოგებული თამაშის მერე, „ჩელსის“ კაპიტნის ჯონ ტერის სიტყვებია.

ამავდროულად, გრძელდება მითქმა-მოთქმა, რომ „წითელი ეშმაკების“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი ორი უიგანელითაა დაინტერესებული — ვილსონ პალასიოსითა და ლუის ვალენსიათი.

ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებს საბდო წყაროებიდან გაუგიათ, რომ „უიგანი“ პალასიოსში 8 მილიონ გირვანქას ითხოვს. ისე კი, ბრიუსს მისი გაშვება არ სდომებია, მაგრამ, როცა ფეხბურთელით „მანჩესტერის“ დარი კლუბი ინტერესდება, მისი შენარჩუნება ძნელია. ვალენსიის ნაცვლად კი, ფერგიუსონი მზად არის, ფულთან ერთად, ლუი სააც დათმოს.

ძოკი ძანდელაძე

რუსეთი

პრემიერლიგა. IX ტური

სპარტაკი 4:2 შინიკი

0:1 მონარიოვი (11), 1:1 მოცარტი (14პ), 2:1 სილვი (34პ.), 2:2 სილვი (61), 3:2 ველიტონი (64), 4:2 პაველიუჩენკო (79)

მოსკვა 1:2 რუბინი

1:0 კალიოშინი (34), 1:1 კაბზე (61), 1:2 რიაზანცევი (88)

რუბინი	9	8	0	1	16:6	24
სპარტაკი	9	4	4	1	18:12	16
ლოკომოტივი	8	4	3	1	10:5	15
დინამო	8	4	2	2	11:9	14
კრილია	8	4	1	3	11:7	13
ამკარი	8	4	1	3	10:6	13
ცსკა	7	3	2	2	7:4	11
ტომი	8	3	1	4	8:10	10
სატურნი	8	2	3	3	9:9	9
ტერეკი	7	3	0	4	7:13	9
შინიკი	9	2	2	5	12:16	8
ზენიტი	6	1	4	1	7:7	7
მოსკვა	9	1	4	4	10:13	7
ნალჩიკი	8	2	1	5	5:11	7
ლუჩ-ენერგია	8	1	3	4	7:11	6
ხიმკი	8	1	3	4	10:19	6

შვეიცარია

სუპერლიგა. XXXV ტური

აარაუ — ლუცერნი 2:1; ქსამაქსი — ბაზელი 2:2; სიონი — თუნი 5:0; იანგ ბოისი — გრასჰოპერი 2:0; ციურიხი — სენტ გალენი 1:0

ბაზელი	35	21	8	6	71:39	71
იანგ ბოისი	35	21	7	7	82:47	70
ციურიხი	35	15	10	10	57:42	55
გრასჰოპერი	35	14	9	12	55:49	51
აარაუ	35	11	13	11	47:48	46
ლუცერნი	35	10	14	11	40:47	44
სიონი	35	11	10	14	48:49	43
ქსამაქსი	35	9	11	15	46:55	38
სენტ გალენი	35	9	6	20	39:69	33
თუნი	35	6	8	21	29:69	26

იაპონია

ჯეი ლიგა. XI ტური

საპორო — ვერდი 1:3; ივატა — კავაზაკი 1:4; კაშივა — კობე 3:0; ნიიგატა — შიმიცუ 3:0; იოკოჰამა — ომია 1:4; ტოკიო — ნაგოია 0:1; ურავა — იჩიჰარა 3:0

ლიბერტადორესის თასი 2008

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

ფლუმინენსე (ბრაზილია) 1:0 ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) (2:1)

1:0 როჟერი (51)

ესტუდიანტესი (არგენტინა) 2:1 ლიგა დე კიტო (ეკვადორი) (0:2)

0:1 ლეონი (26), 1:1 ალაიესი (41), 2:1 მაჯოლო (65)

ატლასი (მექსიკა) 2:2 ლანუსი (არგენტინა) (1:0)

1:0 მარიონი (29), 1:1 სანდი (64), 2:1 არმენტა (78), 2:2 აკოსტა (90)

ექვსს პლუს ხუთი და ოთხის შიში

ლორდი ტრიესმენი



იოზეფ ბლატერი

ინგლისური პრემიერლიგის ოთხი გამორჩეული გუნდის ირგვლივ დიდი ამბავი ატყდა. გუშინდელ „სარბიელში" გაგაცანით „ნიუკასლ იუნაიტედის" თავკაცის, წარსულში დიდი ფეხბურთელის, კევინ კიგანის მოსაზრება, რომ ინგლისის ჩემპიონატში ფაბტობრივად ორი შეჯიბრება იმართება, ზედა ოთხეულისა და ყველა დანარჩენის. კიგანის აზრით, დანარჩენ გუნდებს ოთხეულთან მიახლოების მინიმალური შანსიც არ აქვთ და ასე შემდეგ.

დღეს, საკუთრივ ინგლისში წამოწეულ თემას შვეიცარიიდან ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი გამოეხმაურა. მსოფლიო ფეხბურთის დიდმმართველის ღრმა რწმენით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასული ორი გუნდის, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ჩელსის", მათთან ერთად კი „ლივერპულისა" და „არსენალის" ბატონობა პრემიერლიგაში უკვე მეტისმეტი ხდება, რის გამოც (აქ ბლატერი ცდილობს, შექმნილი სიტუაცია თავისი პროექტის სასარგებლოდ გამოიყენოს) საჭიროა გუნდებში უცხოელ ფეხბურთელთა ლიმიტი დაწესდეს და ეს ლიმიტი სხვა კლუბებს მისცემს თანაბრად განვითარების საშუალებას.

ბლატერი: „ნუთუ ჩვენ მდიდრებს უფრო მეტად გამდიდრების საშუალება უნდა მივცეთ და ამ სიტუაციის შემყურეთ ხმა არ უნდა ამოვიღოთ? დახეთ, როგორი ვითარებაა: კლუბებისთვის დიდძალი თანხები ჩემპიონთა ლიგას მოაქვს. ეს, მსოფლიოს უდიდესი ლიგაა, რომლის შემოსავლის 80 პროცენტი მონაწილე 32 კლუბზე პირდაპირ ნაწილდება და რა გამოდის? წლეულს ნახევარფინალში სამი ინგლისური კლუბი გვყავდა, რომელთაგან ორი ფინალში გავიდა. დიახ, ჩემპიონთა ლიგამ დიდი ფინანსური წარმატება მოიტანა, მაგრამ იმავდროულად მან ეროვნული უთანასწორებაც გამოიწვია. სწორედ ამიტომ მინდა, როგორც მსოფლიო ფეხბურთზე პასუხისმგებელმა ადამიანმა, ფიფას კონგრესის ყურადღება ამ საკითხს მივაპყრო".

„სარბიელის" მკითხველმა კარგად იცის, რომ ზეპ ბლატერს სურვილი აქვს, ყოველ გუნდს მოედანზე ერთბაშად ხუთი ადგილობრივი ფეხბურთელი ჰყავდეს. ფიფას პრეზიდენტი ოცნებობს, რომ ეს წესად იქნება დადგენილი და ამ წესს „ექვსს პლუს ხუთი" ერქმევა.

„ეს სპორტის სამყაროა და ამიტომ, მოდი, ექვსს პლუს ხუთით დავიწყოთ. ვნახოთ, რას მოგვცემს წესის ასეთი ცვლილება. ვფიქრობ, ეს კანონი სხვადასხვა ლიგებში ცალკეული კლუბების მონოპოლიას შეზღუდავს. ჩვენ სიმდიდრეს კი არ ვებრძვით — არ გვინდა, ნაკრებებისთვის ფეხბურთელების აღზრდა შენელდეს" — დასძინა ბლატერმა.

ძალიან საინტერესოა, რომ პრემიერლიგის ზედა ოთხეულის მეტისმეტ გაძლიერების თავად ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე, ლორდი ტრიესმენი შეუწუხებია, თუმცა მისი გამოსვლა შესაძლოა უფრო თემის სავალდებულო გამოხმაურება გახლდათ, ვიდრე რომელიმე მიმარულებით ლაშქრობა. კერძოდ:

„ის, რაც კევინმა თქვა, სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს — დაუბრუნდა ლორდი „ნიუკასლის" თავკაცის სიტყვებს — რასაკვირველია, ნებისმიერი შეჯიბრება, რაც შეიძლება თავისუფალი უნდა გვქონდეს. ყველა გუნდს უნდა მიეცეს სხვებთან თანაბრად გაჯიბრების შანსი. დააკვირდით, რა მრავლისმეტყველი გამოდგა ფეხბურთის ასოციაციის თასის წლევანდელი გათამაშება? ფინალში „პორტსმუთი" და „კარდიფი" გავიდნენ. ეს მეტისმეტად შთამბეჭდავი შედეგი გახლავთ. ძალისა და სიმდიდრის ერთსა და იმავე ხელში დაგროვებამ, შესაძლოა, საერთოდ, ჩემპიონატი გაგვიხადოს უინტერესო. იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენი ჩემპიონატი უკვე უინტერესოა, მაგრამ ვფიქრობ, ასეთი საშიშროების წინაშე ვდგავართ. მეორე მხრივ, ჩვენ დიდ ბრიტანეთში ვცხოვრობთ და ბიზნესს განვითარების უფლებას ვერ წაართმევ. ამიტომ, ვფიქრობ, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა საფეხბურთო აკადემიებმა ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდა არ შეწყვიტონ. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ყოველი კლუბი ღირსეულ ახალ თაობას ზრდის".

მაგრამ ლორდმა ტრიესმენმა იმავდროულად სიფრთხილეც გამოიჩინა და თქვა, რომ ფეხბურთელებზე ლიმიტების დაწესება სწორი ვერ იქნება, რადგან ეს ევროკავშირის კანონებს ეწინააღმდეგება.

ბაკუნა კედია

მტაცებელი და მსხვერპლი

არსენ ვენგერი აღშფოთებულია და მადრიდის „რეალის" ფიფაში დაბეზღებას აპირებს. თურმე ესპანური სამეფო კლუბი ლონდონელთა ერთ-ერთ ვარსკვლავს, სესკ ფაბრეგასს აკრძალული ხერხებით ეკურკურება.

როდესაც „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ფაბრეგასის შეძენის სურვილი საჯაროდ გამოთქვა, განრისხებულმა ვენგერმა ამას უპატივცემულობა უწოდა.

ჯერ კალდერონის სიტყვები ვნახოთ: „ჩემი მიზანი კლუბებს შორის დაპირისპირების ჩამოგდება სულაც არ არის, მაგრამ ჩვენთვის სასურველ ფეხბურთელთა სიაში სესკი პირველი ნომერია და მას სიამოვნებით გადმოვიყვანდი".

ვენგერმა კი ერთი ხნის წინ კალდერონის გასაგონად ასეთი რამ ბრძანა: „არ მინდა, ვიჯდე და ვისმენდე, როგორ ამბობს „რეალი" თუ „ბარსელონა", რომ ამა თუ იმ ფეხბურთელის შეძენა უნდა. მე არასდროს გამოვდივარ და არ ვაცხადებ, რომ „რეალის" ან „ბარსელონას" ესა თუ ის ფეხბურთელი მჭირდება. ამას არც არასდროს ვიტყვი, რადგან ამ კლუბებს პატივს ვცემ. თუ ამ ორი გუნდის რომელიმე ფეხბურთელის შეძენა მომინდება, ვიცი, მათი კლუბების რომელ თანამშრომელს დავურეკო და საქმეს პირდაპირ მასთან დავიჭერ, ყოველგვარი საჯარო გამოსვლების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი საქციელი ყველაზე გადაბიჯებას და ყველას მოხვეტის სურვილს დაემსგავსება. ეს მიუღებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერაფერს გახდები. როდესაც შენთვის სასურველი ფეხბურთელი ამა თუ იმ კლუბთან კონტრაქტით არის დაკავშირებული და ეს კონტრაქტი ძალაშია, წესის თანახმად, უპირველეს ყოვლისა, კლუბში უნდა დარეკო და იქ გაარკვიო, რას ფიქრობს ეს ხალხი ამ ფეხბურთელის გაყიდვასთან დაკავშირებით. რასაკვირველია, არც ისეთი გულუბრყვილო გახლავართ, რომ ვიფიქრო, თითქოს ხსენებულ წესს ყველა იცავს, მაგრამ გაზეთში რომ არ უნდა გამოვარდე და სხვისი ფეხბურთელის წაყვანაზე აგრესიული განცხადებები რომ არ უნდა აკეთო, ფაქტია. ჩვენთვის ცხადია, რომ „რეალის" ხალხი ჩვენს ზურგსუკან ფაბრეგასის აგენტებს უკავშირდება და ელაპარაკება, თუმცა ამაზე ისეთი რეაქცია არ მაქვს, როგორც საგაზეთო გამოსვლებსა და უპატივცემულო საჯარო განცხადებებზე".

ისევ კალდერონი: „თუ სესკს ცხოვრების შეცვლა აინტერესებს, მზად ვართ, დაველაპარაკოთ. სესკი ხომ ის ფეხბურთელია, რომლის შეძენაც ყველა მწვრთნელსა თუ ტექნიკურ დირექტორს სურს და გამონაკლისი არც ჩვენი მწვრთნელები და დირექტორები გახლავან. სხვა საქმეა, რომ გადაწყვეტილება დარჩენისა თუ გუნდის გამოცვლის შესახებ თავად ფაბრეგასისგან უნდა მოდიოდეს. საკუთრივ ფეხბურთელს უნდა ჰყქონდეს შეგრძნება, რომ მისი ცხოვრების ერთი ეტაპი დასრულდა და რაღაც არის შესაცვლელი. და თუ სესკ ფაბრეგასის შემთხვევაშიც ასეა, ჩვენ სიამოვნებით დავუკავშირდებით მის გუნდს და მოლაპარაკებებს გავმართავთ".

ვენგერის გაღიზიანება კიდევ იმან გაამძაფრა, რომ მისთვის ცნობილი გახდა: „ინტერი" „არსენალის" სხვა ვარსკვლავის, ბელარუსი ალექსანდრ გლების გადაბირებას ცდილობს. მილანელები გლების აგენტებს უკვე შეხვედრიან და თითქოს, ყმაწვილკაცის თავგზის არევაც მოუხერხებიათ.

ზემოთ კი ფიფა ვახსენეთ და უნდა მოგაგონოთ, რომ მადრიდის „რეალს" სწორედ სხვათა უპატივცემულო სატრანფერო „მტაცებლობის" გამო, მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციაში პირველად არ უჩივიან. პრობლემა ჰქონდა „რეალის" ყოფილ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესსაც, როდესაც მან „ბერნაბეუზე" დევიდ ბექემი მიიწვია და... მიიტაცა. პერესივე საიდუმლოდ შეხვდა პატრიკ ვიეირას. ამ შეხვედრისას „რეალის" პრეზიდენტი ფრანგ ვარსკვლავს, ბუნებრივია, მასთან გადასვლას სთავაზობდა. კალდერონის „რეალი" კი „მანჩესტერ იუნაიტედსაც" აღიზიანებს. მადრიდიდან კრისტიანუ რონალდუს შესახებ საუბარს არა და არ დაესვა წერტილი.

ბაკუნა კედია

ბობოს ჰალი

ჩემპიონლიგის „ჰალ სიტის“ მენეჯერ ფილ ბრაუნს კრისტიან ვიერის გადაბირება სურს. „თაიმსის“ ცნობით, ბრაუნი უკვე დაუკავშირდა „ბობოს“, რომელმაც მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. 34 წლის ვიერი სეზონის ბოლოს „ფიორენტინადან“ მიდის, მაგრამ კარიერის დასრულებას არ აპირებს. „ჰალის“ მენეჯერის სიაში ჟუნინიო პაულისტა და ჯეი ჯეი ოკონაც არიან.

კრაუჩი გაორმაგდა

„პორტსმუთი“ პიტერ კრაუჩს არ ეშევება და „ლივერპულს“ რვა მილიონ გირვანქას სთავაზობს. ცოტა ხნის წინ პორტელები ოთხ მილიონს იმეტებდნენ, მაგრამ „ლივერპულისგან“ უარი მიიღეს, ახლა თანხა გაორმაგეს და პასუხს ელიან. თუ კრაუჩი „პორტსმუთში“ გადავა, ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და კვირაში 75 ათას გირვანქას გადაუხდიან.

ლელი დაადასტურეს

მიუნხენის „ბაიერნის“ მცველი კრისტიან ლელი კლუბთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს. 23 წლის ფეხბურთელს ქაღალდზე ხელი ჯერ არ მოუწერია, მაგრამ „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰოინესმა დაადასტურა, რომ შეთანხმება უკვე მიღწეულია. ლელის ხელშეკრულება 2009-ში იწურებოდა და გაგრძელების შემდეგ გუნდში 2011-მდე დარჩება. ამ სეზონში მცველი ძირითად შემადგენლობაში ხშირად თამაშობდა და კლუბი მისით კმაყოფილია.

გლებიც გარბის

„არსენალის“ ნახევარმცველი ალექსანდრ გლები ამ ზაფხულს, შესაძლოა, „ინტერში“ აღმოჩნდეს. „თაიმსის“ ცნობით, ფეხბურთელს თანაგუნდელებთან უთქვამს, რომ მილანურ კლუბში გადადის. ბელარუსს „მეთოფეებთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს, რომლის გასაწყვეტადაც „ინტერი“ ფულის გადამხდელია. სავარაუდოდ, ნახევარმცველი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „არსენალიდან“ ფლამინი უკვე გადავიდა „მილანში“.

სანტა კრუსი არ ემდურის

„ბლეკბერნის“ ფორვარდი როკე სანტა კრუსი ზაფხულში კლუბის გამოცვლას არ აპირებს. პარაგვაელი თავდამსხმელი პრემიერლიგაში შარშან „ბაიერნიდან“ გადავიდა და 23 გოლი გაიტანა. მისით „ჩელსი“, „მანჩესტერი“, „ლივერპული“ და „არსენალი“ დაინტერესდნენ.

„ჩემი კონტრაქტი სამ წელიწადში იწურება. „ბლეკბერნში“ არავის და არაფერს არ ვემდური. კარგი იქნება, უეფას თასზე თუ ვითამაშებთ, მაგრამ ამაზე ჩვენ, ფეხბურთელებმაც უნდა ვიზრუნოთ და არა მარტო კლუბის შეფებმა“ — განაცხადა სანტა კრუსმა.

კასანოს სოლდადო მიაბეს

„სამპდორია“ აღბათ დაყაბულდება მადრიდის „რეალის“ წინადადებას რობერტო სოლდადოს იჯარაზე. ამ გარიგებით გენუელები ანტონიო კასანოს კონტრაქტის გამოსყიდვას აპირებენ, რომელიც ასევე „რეალიდანაა“ განათხოვრებული.

მადრიდული კლუბი თანახმაა, დაწიოს კასანოს ფასი ორნახევარ მილიონ ევრომდე, თუ „სამპდორია“ რობერტო სოლდადოსაც დროებით წაიყვანს. გენუელთა პრეზიდენტმა რიკარდო გარონმა განაცხადა, რომ აუცილებლად შეეცდება ანტონიო კასანოს დატოვებას.

ბერგერი ენამ გააგდო

„ასტონ ვილას“ მწვრთნელ მარტინ ონილი პატრიკ ბერგერმა გააბრაზა და ჩეხი სეზონის ბოლოს კლუბს დაემშვიდობება. ბერგერს ვილელთა კაპიტნისთვის გარეთ ბერისთვის „ლივერპულში“ გადასვლა ურჩევია და ონილიც ამიტომ განრისხდა. „ძალიან გამიკვირდა და მეწყნა პატრიკისგან ასეთი საქციელი. „ასტონ ვილაში“ მისი ადგილი აღარაა“ — თქვა ირლანდიელმა.

34 წლის პატრიკ ბერგერმა ამ სეზონში რვაჯერ შეცვლაზე ითამაშა. „ასტონ ვილამდე“ იგი „პორტსმუთში“ და „ლივერპულში“ იყო.

ლევსკიში რეორგანიზაციაა

სოფიის „ლევსკის“ მწვრთნელი სტანიმირ სტოილოვი და აღმასრულებელი დირექტორი ნასკო სირაკოვი თანამდებობებიდან მოხსნეს, რადგან გუნდმა ცსკა-სთან საჩემპიონო ბრძოლა წააგო.

კლუბის პატრონმა ტოდორ ბატკოვმა განაცხადა, რომ „ლევსკის“ ახალ თავკაცს შაბათამდე დაუნიშნავენ.

სტოილოვის ხელში გუნდმა „ოქრო“ ზედიზედ ორჯერ (2006, 2007) მოიგო და პირველი ბულგარული კლუბი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის კარი შეაღო. ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „ლევსკი“ ცსკა-ს 16 ქულით ჩამორჩება.

ოცნება ექვს მილიონად

ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „უიგანს“ ეგვიპტური „ზამალეკიდან“ ამირ ზაქის შეძენა სურს. ფორვარდის სანაცვლოდ არაბებს 4 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ მათ ორით მეტი მოითხოვეს. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ პრემიერლიგაში თამაშზე ოცნებობს. ზაქემ აფრიკის ეროვნებათა თასზე ოთხი გოლი გაიტანა, ნაკრებში კი 40 მატჩში 21 მოაგროვა. 2006 წელს იგი მოსკოვის „ლოკომოტივში“ იყო, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა და სამშობლოში დაბრუნდა.

ვაჟა ხუციშვილი

საფეხბურთო ლეგენდები

გიორგი კაკაბაძე

ლეგენდა №26

ილ გრანდე ტორინო

40-იან წლებში იტალიაში წამყვანი გუნდი „ტორინო“ გახლდათ, რომელსაც მეტსახელად „ილ გრანდე ტორინოს“ ანუ „დიდ ტორინოს“ ეძახდნენ. კლუბი, რომელიც უამრავი ვარსკვლავით გახლდათ დაკომპლექტებული, სამწუხაროდ, 1949 წლის 4 მაისს ავიაკატასტროფაში ფაქტობრივად მთლიანად დაიღუპა.

ტრაგედია ტურინთან ახლოს, ცუდ ამინდში მოხდა. თვითმფრინავში მყოფი ოცდათერთმეტივე ადამიანი დაიღუპა, აქედან 18 — ფეხბურთელი, ასევე კლუბის თანამშრომლები, ჟურნალისტები (მათ შორის, გაზეთ „ტუტოსპორტის“ დამაარსებელი რენატო კაზალბორე) და თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები.

„ილ გრანდე ტორინო“ ლისაბონიდან ბრუნდებოდა, სადაც „ბენფიკას“ ჟოზე ფერეირასთვის მიძღვნილ გამოსამშვიდობებელ მატჩში ეთამაშა.

იმ პერიოდში „ტორინომ“ უამრავი რეკორდი დაამყარა. გუნდი მიჯრით ხუთჯერ, 1944-1949 წლებში გახდა სერია A-ს გამარჯვებული (1945 წელს იტალიის ჩემპიონატი მეორე მსოფლიო ომის გამო არ ჩატარებულა).

სხვათა შორის, 1949 წლის 4 მაისის ტრაგედიის მერე, ტურინელებს ჩემპიონატში ოთხი მატჩი ჰქონდათ დარჩენილი და ამ შეხვედრებში ახალგაზრდული გუნდის, ანუ „პრიმავერას“ ფეხბურთელებით ითამაშეს, „ილ გრანდე ტორინოს“ საპატივცემულოდ „ჯენოამ“, „პალერმომ“, „სამპდორიამ“ და „ფიორენტინამაც“ ახალგაზრდებით ითამაშეს. „ტორინოს“ „პრიმავერამ“ ყველა მატჩი მოიგო და ჩემპიონიც გახდა.

„ილ გრანდე ტორინო“ 4-4-2 სქემით 10 წლით ადრე თამაშობდა, ვიდრე ამ ტაქტიკას ბრაზილიის ნაკრები წარმატებით გამოიყენებდა 1958 წლის მსფოლიოს ჩემპიონატზე. ხოლო 35 წლის მერე, 70-იან წლებში, ტურინელთა რამდენიმე ტაქტიკური სქემა გამოჩნდა ჰოლანდიელების მიერ დანერგილ, ეგრეთ წოდებულ ტოტალურ ფეხბურთში, რომელმაც სპორტის ამ სახეობაში რევოლუცია მოახდინა.

ამ ტრაგედიამ ძალიან დააზარალა იტალიის ეროვნული ნაკრებიც, რომელიც იმხანად „ტორინოს“ ათამდე მოთამაშით იყო დაკომპლექტებული. ისევე როგორც „ილ გრანდე ტორინოს“, „სკუადრა აძურას“ კაპიტანიც ვალენტინო მაცოლა გახლდათ. მომავალში მისი ვაჟი სანდრო ასევე ცნობილი ფეხბურთელი, ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ ლეგენდა გახდა.

ტრაგედიას შემთხვევით გადაურჩა ორი ფეხბურთელი. საურო ტომა პორტუგალიაში გუნდს ტრავმის გამო არ გაჰყვა. უნგრელი ლადისლაო კუბალა კი, რომელსაც მატჩში სტუმრის რანგში უნდა ეთამაშა, „ტორინოს“ თვითმფრინავში იმიტომ არ მოხვდა, რომ მისი ვაჟი გაციებული გახლდათ და კუბალამ ცოლ-შვილთან დარჩენა გადაწყვიტა.

ამის მერე, „ტორინომ“ მორიგი სკუდეტო მხოლოდ 1976 წელს მოიპოვა და ჯერჯერობით ვერ ახერხებს ძველი დიდების დაბრუნებას.

ლეგენდა №27

დი სტეფანო ნოკაუტში

1947 წელს არგენტინის ჩემპიონატში „რივერ პლეიტისა“ და „ატლანტეს“ მატჩში ერთი უსიამონო ინციდენტი მოხდა. რივერპლეიტელთა ცნობილმა ფორვარდმა ალფრედო დი სტეფანომ მეტოქის კარში გოლი გაიტანა, რაც ვერაფრით ვერ აიტანა „ატლანტეს“ ერთ-ერთმა ვაიგულშემატკივარმა, რომელიც მინდორზე გადმოხტა, დი სტეფანოსთან მივარდა და ნოკაუტში ჩაგდო. ლეგენდარული თავდამსხმელი მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს.

საბედნიეროდ, დი სტეფანოსთვის ყველაფერი კარგად დასრულდა. აი, „ატლანტესა“ და მის გულშემატკივრებს იმ მართლაც ვაიქომაგის გამოხტომა კი ძვირად დაუჯდათ — კლუბს დისკვალიფიკაცია მისცეს და მეორე ლიგაში უკრეს თავი.

ლეგენდა №28

ასტონ ვილას ცბიერი მეკარე

1891 წელს ინგლისის ჩემპიონატში „ასტონ ვილასა“ და „სტოკ სიტის“ მატჩის მსვლელობისას ერთი საინტერესო ამბავი მოხდა — შეხვედრის დასრულებას თითქმის აღარაფერი აკლდა, როცა ბირმინგემელთა კარში პენალტი დაინიშნა, ბურთთან მოულოდნელად „ასტონ ვილას“ მეკარე მივარდა და ძლიერი დარტყმით შორს გადააგდო...

მაშინ ფეხბურთს ძირითადად ერთი ბურთით თამაშობდნენ და სანამ მეკარის მიერ გადაგდებულს მოიტანდნენ, მატჩისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა, მსაჯიც იძულებული გახდა, შეხვედრა დაესრულებინა და ასე გადაურჩა „ასტონ ვილა“ გოლის გაშვებას.

ამ ფაქტის მერე, ფეხბურთის წესებში ცვლილების შეტანა გახდა საჭირო და ახალი წესიც მალე გამოცხვა — პენალტის და საჯარიმო დარტყმების შესრულება დროის ამოწურვის მერეც შეიძლება.

რანიერი: ნუ მოგვთხოვთ ზედმეტს

შეიძლება ითქვას, რომ „იუვენტუსმა“ სეზონი კარგად ჩაატარა. ტურინელებმა სერია A-ში მესამე ადგილი მოიპოვეს და, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლებაც. თუმცა გუნდის მწვრთნელი კლაუდიო რანიერი წინასწარ თავს იზღვევს — ჩვენგან ზედმეტს ნურავინ ელის და ნურავინ მოითხოვსო.

„სერია A-ში მესამე ადგილი და ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში თამაშის უფლება დიდი მიღწევაა გუნდისთვის, რომელიც სერია B-დან ახლახან დაბრუნდა. თუმცა ჩემპიონთა ლიგაში ძველებურ „იუვენტუსს“ მყისვე არ უნდა ველოდოთ. ეს ჩვენთვის გაზრდის და გამოცდის წელი იქნება. ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს, რომელთაც არც კი იციან, რას ნიშნავს ასეთ დონეზე თამაში, და გამოცდილება აკლიათ. თანაც მიმდინარე სეზონში კვირაში მარტო ერთი მატჩის თამაში გვიწევდა, ხოლო ახლა საქმე გაგვიორმაგდება“ — თქვა რანიერიმ.

ზაფხულში „ბებერი ქალბატონის“ პირველი ტრანსფერი ალბათ „პალერმოს“ ფორვარდი ამაური იქნება. თუმცა მწვრთნელს მხოლოდ ერთი ახალი ფეხბურთელი არ აკმაყოფილებს.

„ამაური ბრწყინვალე ფეხბურთელია და კიდევ ერთი ჩემპიონი შემოგვემატება, მაგრამ სკუდეტოსთვის მებრძოლი შემადგენლობა ჯერ არ გვეყოლება. ყველა პოზიციაზე კარგი მოთამაშე მჭირდება, პლუს ორი-სამი კაცი — განსაკუთრებულად საგანგაშო შემთხვევებისთვის. ასევე აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ოლიმპიადა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს ემთხვევა და არ ვიცი, რამდენ ჩვენიანს გამოიძახებს პიერლუიჯი კაზირაგი. არადა, ყველა მათგანი მჭირდება“ — დასძინა რანიერიმ.

„პალერმოს“ პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი: „თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. შეთანხმებას მალე მივაღწევთ. შეგვიძლია, ამაური 98 პროცენტით „იუვეს“ ფეხბურთელად ჩავთვალოთ. ახლა ჩვენზე აღარაფერია დამოკიდებული, საბოლოო სიტყვა ტურინელებზეა და ალბათ მალე დარჩენილი დეტალებიც მოგვარდება“.

ამასობაში „ბიანკონერის“ ვეტერანმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა განაცხადა, ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, სეზონის ბოლოს კარიერას დავასრულებ, თუ კიდევ ერთი წელი ვითამაშებო.

„ჩემი მომავალი ჯერაც გაურკვეველია. სეზონის ბოლოს ვნახოთ... მოსაფიქრებლად კიდევ რამდენიმე კვირა მაქვს და სერიოზული გადაწყვეტილების მიღება მომიწევს. ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იყო „იუვენტუსის“ მაისურით თამაში. აქ ბრწყინვალე წლები გავატარე“ — თქვა 35 წლის ნედვედმა.

ტურინელთა სპორტული დირექტორი ალესიო სეკო კი უკვე ეძებს ჩეხის შემცვლელს. კანდიდატები ნეაპოლელი მარეკ ჰამშიკი, რომაელი ამანტინო მანსინი და პალერმოელი ბოშკო იანკოვიჩი ყოფილან.

გიორგი კაკაბაძე

მანჩინი მორატის არ ეთანხმება

„ინტერის“ მფლობელ მასიმო მორატისა და გუნდის მწვრთნელ რობერტო მანჩინის შორის იდეალური ურთიერთობა რომ არ არის, კიდევ ერთხელ დადასტურდა. „მილანთან“ წაგებული დერბის მერე მორატიმ თქვა, შემართება გვაკლდა და ზედმეტად ვფრთხილობდით, რაც არ მომეწონაო. მანჩინიმ კი განაცხადა, ამ მოსაზრებას ნამდვილად ვერ დავეთანხმებიო.

„ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, ხოლო მოტივაციისა და შემართების ნაკლებობაზე ვერც ვილაპარაკებ. მით უმეტეს, რომ არც დერბიში და არც სხვა მატჩებში, ფრეზე არასოდეს გვითამაშია. ყველას თავის აზრი აქვს, მაგრამ ვფიქრობ, როცა გუნდი აგებს, ხალხი დამნაშავის ძებნას იწყებს და უმეტესი ნაწილი ყოველთვის მწვრთნელისკენ იშვერს თითს. თუ მორატი ასე ფიქრობს, ეს მისი უფლებაა, მაგრამ მე არ ვეთანხმები. თუმცა ეს პრობლემა არ არის. როგორც ვთქვი, ყველას თავისი ხედვა აქვს“ — აღნიშნა მანჩინიმ.

რამდენიმე დღის წინ, კითხვაზე, დარჩება თუ არა მანჩინი პოსტზე, მორატიმ ასე უპასუხა — ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

„კლუბთან ახალი სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ამით ყველაფერია ნათქვამი. კიდევ რა კომენტარი უნდა გავაკეთო? არ ვიცი, რას ნიშნავს იმის თქმა, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. წასვლა-დარჩენაზე კითხვებს ყოველთვის მისვამდით. მაშინ ეს გასაგები იყო, რადგან გუნდთან ხანგრძლივი კონტრაქტი არ მაკავშირებდა, მაგრამ ახლა...“ — დასძინა მანჩინიმ.

ეს ყველაფერი კი ზრდის ეჭვებს და მითქმა-მოთქმა ძლიერდება — ზაფხულში მანჩინის ჟოზე მაურინიუ შეცვლისო.

ძოკი კანდელაკი

მუტუ დასაჯეს, ლივორნო განირეს

ადრიან მუტუმ „კალიარისთან“ წაგებული მატჩის ბოლო წუთზე ნერვები რომ ვერ მოთოკა, ძვირად დაუჯდა. რუმინელმა მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ორმატჩიანით შეუცვალა.

ეს ნიშნავს, რომ „ფიორენტინას“ რუმინელი ლიდერი სერია A-ს დარჩენილ ორ ტურში, „პარმასთან“ და „ტორინოსთან“ ვერ დაეხმარება. უმისოდ კი „იებს“ მეოთხე ადგილის დაბრუნება ძალიან გაუჭირდებათ. ისინი „მილანის“ წაბორძიკების იმედზე უნდა იყვნენ, თავად კი ქულები არ გაფლანგონ.

პარალელურად, სადისციპლინო კომიტეტმა, ფაქტობრივად, გაწირა ბოლოადგილოსანი „ლივორნო“. გასულ უქმეებზე ტოსკანელებმა „ატალანტასთან“ 2:3 წააგეს. უმოტივაციო ბერგამოელთაგან მესამე გოლი მატჩის მიწურულს სიმონე პადოინმა გაიტანა. საფინალო სასტვენის შემდეგ მას რამდენიმე ტოსკანელი ეძგერა, „არასაჭირო“ გოლი რატომ გაიტანე, მოგება თქვენ არაფერს გიცვლიდათ, ჩვენ კი ქულა გვჭირდებოდაო.

ეს ინციდენტი ხუთმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა ალესანდრო გრანდონის, სამ შეხვედრას გამოტოვებს ემანუელე ფილიპინი, ხოლო ორს — ჯოვანი პასკუალე. გარდა ამისა, მომავალ ტურში ვერ ითამაშებენ დავიდ ბალერი, ანტონიო ფილიპინი და სიმონე კავანი.

სერია A-ს 37-ე ტურს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო ასევე გამოტოვებენ: რეჯინელი არონიკა, ემპოლელი ბუდელი, კალიარელი კონტი, ჯენოელი კრიშიტო, ატალანტელი გუარენტე, იუვენტუსელი მოლინარო, ფიორენტინელი პასკუალი, მილანელი პირლო და ნეაპოლელები — ბლაზი და სანტაკროჩე.

გიორგი კაკაბაძე

ანრი რჩება



ტიერი ანრიმ განაცხადა, რომ არ სურს „ბარსელონას“ დატოვება და მომავალ სეზონშიც კატალონიელთა მაისურით ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ფრანგი თავდამსხმელი „კამპ ნოუზე“ გასულ ზაფხულს ლონდონის „არსენალიდან“ გადაბარგდა.

„გუნდიდან წასვლა არ მინდა. „ბარსელონასთან“ კონტრაქტი კიდევ სამი წლით მაკავშირებს და აქ თამაშს გავაგრძელებ“ — განაცხადა ანრიმ.

მის წასვლაზე იმიტომ ალაპარაკდნენ, რომ ფრანგი მიმდინარე სეზონს ცუდად ატარებს. მას 27 მატჩში მხოლოდ 9 გოლი აქვს გატანილი და არადამაჯერებლად გამოიყურება. ამის ერთ-ერთ მიზეზად ის სახელდება, რომ ფრანკ რაიკარდი ანრის ძირითადად ფლანგზე, უკან დაწეულად ათამაშებს. ასეა თუ ისე, ესპანური პრესა და „ბარსას“ ფანების გარკვეული ნაწილი ხშირად აკრიტიკებენ ფრანგ ვარსკვლავს.

„ესპანური პრესა ყოველღე ვიღაცას ყიდის და ყიდულობს. ამისთვის ყურადღების არმიქცევას უკვე მივეჩვიე. კრიტიკა ჩემზე არ მოქმედებს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ასეთი ზეწოლა არცერთ სხვა კლუბში მქონია. ხალხი სხვაგან ასე არ რეაგირებს, როგორც აქ. თავიდან ცოტა მეუცნაურა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და შევეგუე. მართალია, ფლანგზე თამაშთან დაკავშირებით იყო გარკვეული პრობლემები, მაგრამ ახლა ყველაფერი კარგადაა და არ ვნერვიულობ. პანიკის საფუძველი არ არის. ჩემთვის გოლების გატანა და გაბრწყინება მთავარი არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდის გამარჯვებაა“ — დასძინა ანრიმ.

ძოკი კანდელაკი

ავრაამის ბედნიერება

რა ითქვა, იცით, გუშინ? ავრაამ გრანტი „ჩელსის“ მწვრთნელის თანამდებობიდან წასვლასა და ადგილის ფრანკ რაიკარდისთვის გათავისუფლებას სიხარულით შეხვდებაო. ეს ყუმბარა გრანტის ახლობელმა, „პორტსმუთის“ ფეხბურთელმა რიჩარდ ჰიუზმა გახეთქა.

„თუკი ეს ასე მოხდება, ავრაამი მადლიერებით ილოცებს — დაიუინა ჰიუზმა და განმარტა — საქმე ის არის, რომ გრანტი ბუნებით ჩვეულებრივი კაცია, რომელსაც საჯარო ცხოვრება არ სიამოვნებს. მისთვის ყველაზე შესაფერისი ძველი ფუნქციის დაბრუნება იქნება, როდესაც მწვრთნელთა შტაბისა და დირექტორატის შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა“.

არადა, შედეგი, რომელიც ებრაელმა მწვრთნელმა „ჩელსიში“ აჩვენა, მართლაც შთამბეჭდავია: ლონდონელი „ლურჯები“ ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც არიან და პრემიერლიგაშიც ბოლო ტურამდე აქვთ ტიტულის მოპოვების შანსი — „ჩელსი“ თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“? ამ კითხვაზე პასუხს სეზონის დამაგვირგვინებელ დღეს მივიღებთ, მაგრამ ჰიუზი, რომელიც გრანტს მისი „პორტსმუთში“ მუშაობის წლებში დაუმეგობრდა, ამბობს, რომ ავრაამი „ჩელსის“ სიამოვნებით დატოვებს იმ შემთხვევაშიც, პრემიერლიგის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგა ერთად რომ მოაგებინოს.

ჰიუზი: „ავრაამი ფეხბურთში მარადი სტუდენტია. ჩვენთან რომ მუშაობდა, მე და მას უამრავჯერ გვისაუბრია, მათ რიცხვში „ბარსელონას“ შესახებ. ვიცი ისიც, რომ „ჩელსის“ მაპატრონე რომან აბრამოვიჩი „ბარსას“ თაყვანისმცემელია. მას ძალიან მოსწონს ამ გუნდის დღევანდელი სტილი და სავარაუდოდ, ყველა ღონეს იხმარს, რათა ეს სტილი „სტემფორდ ბრიჯზე“ ჩამოიტანოს. ჟოზე მაურინიუს გაშვებაც მეტწილად სწორედ იმით გახლდათ განპირობებული, რომ აბრამოვიჩს სულ სხვა ფეხბურთის ხილვა უნდოდა, მაურინიუ კი მის გუნდს სულ სხვა რამეს ათამაშებდა“.

და, რამდენედაც ცნობილია, ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ფრანკ რაიკარდი „ბარსადან“ მიდის. ამბობენ, რომ კატალონიის გუნდს წარსულში ცნობილი ვარსკვლავი ხოსეპ გვარდიოლა გაწვრთნის, რაც ჰიუზს, რომლის ნათქვამსაც, სავარაუდოდ, რეზონანსი უნდა მოჰყვეს, აფიქრებინებს, რომ „ჩელსიში“ მწვრთნელის ცვლილებაა დაგეგმილი.

თუმცა, მარტო ეჭვიც არ ალაპარაკებს „პორტსმუთის“ ფეხბურთელს. როგორც ჩანს, რამდენიმე დღის წინ ჰტუზი ავრაამ გრანტს ელაპარაკა და მთელი ისტორია პირველწყაროდან იცის.

„მერწმუნეთ, ავრაამი ის კაცია, რომელსაც საქმის წარმატებით კეთებისთვის წინა პლანზე ყოფნა სულაც არ სჭირდება. ის ჩრდილიდანაც კარგად მუშაობს“ — დააგვირგვინა ჰიუზმა.

პაპუნა კედია

კაიზერ ფრანცის აზრები

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა „ლა გაძეტა დელო სპორტთან“ საუბარში რამდენიმე საინტერესო კომენტარი გააკეთა. „კაიზერ ფრანცი“ აღფრთოვანებულია ლუკა ტონით, რომელიც მიმდინარე სეზონში „ბაიერნის“ ლიდერი და მთავარმეგოლეა.

„ლუკა ტონიმ და ფრანკ რიბერიმ თავიანთი გოლებითა და თამაშით მნიშვნელოვნად გაგვაძლიერეს. რასაკვირველია, ტონი რჩება, მისით ძალიან კმაყოფილნი ვართ. იგი არ იყიდება, ჩვენ ხანგრძლივი კონტრაქტი გვაქვს. ლუკა ნამდვილი გოლების მანქანაა. იგი ჯორჯო კინალიას მაგონებს, რომელთან ერთადაც ამერიკაში მითამაშია. ტონი გამანადგურებელი ფორვარდია, მისი ძალიან გვეიმედება. ვფიქრობ, დაგვეხმარება, რომ ჩემპიონთა ლიგა რაც შეიძლება მალე მოვიგოთ“ — თქვა ბეკენბაუერმა.

დარჩება თუ არა ჯენარო გატუზო „მილანში“, ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. როგორც ირკვევა, მისით „ბაიერნიცაა“ დაინტერესებული

ფრანც ბეკენბაუერი: „არ ვიცი, მართლა ფიქრობს თუ არა გატუზო „მილანიდან“ წასვლაზე. თუმცა იგი, როგორც ფეხბურთელი, ძალიან მომწონს და ვფიქრობ, „ბაიერნისთვის“ იდეალური შენაძენი იქნებოდა“.

მიუნხენელთა ლეგენდარული მეკარე ოლივერ კანი კარიერას ამთავრებს. ეს კი ნიშნავს, რომ გუნდს ახალი გოლკიპერი სჭირდება. ერთ-ერთი კანდიდატი „ფიორენტინას“ კარის ფრანგი დარაჯი სებასტიან ფრეია, ვისაც ბოლო დროს აქტიურად უკავშირებენ „ბაიერნს“.

„კანი წასვლის პირასაა — ამბობს ბეკენბაუერი — თუმცა ეს გადაჭრით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ფლორენციელთა მეკარეს დავიმატებთ. ამას კარლ-ჰაინც რუმენიგე და იურგენ კლინსმანი გადაწყვეტენ“.

„კაიზერ ფრანცმა“ ევრო 2008-ზეც ისაუბრა: „გერმანია — იტალია ბრწყინვალე, ემოციებით სავსე თამაში იქნება, თუ, ცხადია, ერთმანეთს შეხვდებიან. ეს იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალის გაგრძელება. „სკუადრა აძურა“ ყოველთვის ძლიერია. ჩვენ კი ბოლო ორ წელიწადში ძალიან გავზარდეთ. ევროპის ჩემპიონატზე დიდი კონკურენცია იქნება. მინიმუმ 10 ნაკრები თვლის, რომ ტურნირის მოგება შეუძლია. არა მგონია, საბერძნეთის სტილის სენსაციური გამარჯვებული გვყავდეს. ჩემი აზრით, ჩემპიონი იტალია, გერმანია, საფრანგეთი ან ჰოლანდია გახდება“.

გიორგი ძაძაგაძე

უფულო კაცის აგენტი

ხოაკინი

„რომას“ ხოაკინის გადაბირება მოუნდა, რადგან ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი ამ ზაფხულს „ვალენსიადან“ წასვლას აპირებს.

ნახევარმცველი „ღამურებში“ 2006 წელს „ბეტისიდან“ გადავიდა და ორმოცდაათზე მეტი მატჩი ითამაშა. ამჟამად „ვალენსიას“ ფინანსური პრობლემები აქვს და რამდენიმე ფეხბურთელი წასვლით იმუქრება. მათ შორისაა ხოაკინიც.

„ვადასტურებ, რომ იტალიიდან და ინგლისიდან არაერთი წინადადება მივიღეთ. იქაც კარგად იციან „ვალენსიას“ უფულობის ამბავი და ამით სარგებლობას ცდილობენ — თქვა აგენტმა ედუარდო ესპეხომ „მარკასთან“ საუბარში — რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ფეხბურთელების ფასიც მცირდება, მაგრამ ჯერ უცნობია, თუ რამდენს მოითხოვს კლუბი გასაყიდ მოთამაშეებში“.

რომაელებს ხოაკინი ამანტინო მანსინის შემცვლელად უნდათ, რომელიც გუნდის გამოცვლას ლამობს. ბრაზილიელის ფასი დაახლოებით 15 მილიონი ევროა.

„რომას“ გარდა ხოაკინით „ევერტონიც“ დაინტერესდა.

შეგახსენებთ, რომ „ვალენსიას“ ძალიან ცუდი სეზონი აქვს. გუნდმა ესპანეთის თასი კი მოიგო, მაგრამ პრიმერადივიზიონში დასარჩენად იბრძვის.

ვაჟა ხუციშვილი

სანიოლი მილანს ევროპამდე ეტყვის

მიუნხენის „ბაიერნის“ ფრანგი მცველის ვილი სანიოლის შეძენა „მილანს“ სურს, მაგრამ ფეხბურთელი ბუნდესლიგიდან წასვლას არ ჩქარობს.

„ბოლო ექვსი წლის განმავლობაში „მილანი“ მუდმივად მაკითხავს, რაც ჩემთვის დიდი პატივია — თქვა ფრანგმა — „ბაიერნთან“ კონტრაქტი ორ წელიწადში მიმთავრდება, მაგრამ თუ სარფიან წინადადებას მივიღებ, დავფიქრდები“.

სანიოლს ოტმარ ჰოცფელდთან ურთიერთობა სეზონის დასაწყისშივე წაუხდა: ხან ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდა, ხან პოზიციას უცვლიდა...

ამის გამო, ფეხბურთელმა ორი კვირის წინ მწვრთნელი საჯაროდ გააკრიტიკა და დაისაჯა კიდეც. უეფას თასზე „ზენიტთან“ სტუმრად საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში არ ათამაშეს — მიუნხენში დატოვეს.

ჰიცფელდი სეზონის ბოლოს მიდის და მას იურგენ კლინსმანი შეცვლის, რომელთანაც, როგორც სანიოლმა განაცხადა, კარგი ურთიერთობა აქვს.

„კლინსმანს რამდენჯერმე შევხვედი და მითხრა, რომ გუნდს ვჭირდები. მიუხედავად ამისა, ვერ დავიჯერებ, „ბაიერნში“ დავრჩები-მეთქი, რადგან ფეხბურთელის ცხოვრება მოულოდნელობით სავსეა. ყოველ შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატამდე უნდა გავარკვიო, თუ სად ვითამაშებ მომავალ სეზონში, რომ მშვიდად ვიყო და ნაკრებში ამაზე არ ვიფიქრო“.

ვაჟა ხუციშვილი

რონალდინიოს კუდი

თითქმის ნაყიდ რონალდინიოზე სილვიო ბერლუსკონისგან მოულოდნელმა უარმა ამ ამბავს კუდი გამოაბა. „მილანის“ პრეზიდენტმა კვირას განაცხადა, რომ მათ შეიძინეს ევროპის საუკეთესო ნახევარმცველი მატეე ფლამინი და „ბარსას“ ფეხბურთელი აღარ სჭირდებათ.

28 წლის რონალდინიოს იტალიურ კლუბში 20-მილიონიანი ტრანსფერი უკვე მოგვარებული იყო და უცბად პრეზიდენტმა უარი დაახეთქა.

ესპანური გაზეთ ADN-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცნობით, რონალდინიოს კუნთების ისეთი დაავადება აქვს, რომ ძველებურად ვეღარ ათამაშდება.

განახევრებულ ფეხბურთელში ფულის გადაყრა სილვიო ბერლუსკონიმ, ცხადია, არ ისურვა და გარიგებაც ამიტომ ჩაიშალა.

„ფიზიკურად გაცილებით უარესადაა, ვიდრე ხალხს ჰგონია“ — თქვა მავანმა ექიმმა ბარსელონის „დელფოსის“ კლინიკიდან.

რონალდინიოს თავი დაანება „ინტერმაც“ და ერთადერთი მსურველი „მანჩესტერ სიტიღა“ დარჩა, რომელსაც ფული არ ენანება და 31 მილიონ გირვანქას გამოდის.

ADN-ის და ბრაზილიური „გლობოუშპორტეს“ ცნობით, ფეხბურთელი კლინიკაში კლუბისგან დაუკითხავად მივიდა.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		11 მაისი						
18:00	2	ბირმინგემი-ბლეკბერნი	1.90	3.40	3.60	1.21	1.24	1.74
18:00	3	ჩელსი-ბოლტონი	1.12	7.50	15.00	1.00	1.04	5.00
18:00	5	დერბი-რედინგი	5.50	3.80	1.50	2.24	1.17	1.07
18:00	6	პორტსმუთი-ფულემი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
18:00	7	სანდერლენდი-არსენალი	4.00	3.50	1.80	1.86	1.24	1.18
18:00	9	ტოტენჰემი-ლივერპული	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
18:00	11	ვესტ ჰემი-ასტონ ვილა	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
18:00	12	უიგანი-მანჩესტერი	10.00	5.80	1.20	3.67	1.07	1.00
18:00	14	ევერტონი-ნიუკასლი	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
18:00	15	მიდლსბრო-სიტი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		10 მაისი						
15:00	71	კრ. პალასი-ბრისტოლი	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
		11 მაისი						
15:00	72	უოტფორდი-ჰალი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
		ინგლისი. I ლიგა						
		9 მაისი						
22:45	73	საუთენდი-დონკასტერი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
		12 მაისი						
22:45	74	ლიდსი-კარლაილი	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
		ინგლისი. II ლიგა						
		10 მაისი						
20:30	75	დარლინგტონი-როჩდეილი	2.30	3.20	3.00	1.33	1.30	1.54
		11 მაისი						
21:00	76	უიკომბი-სტოკპორტი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		10 მაისი						
18:00	591	რეინჯერსი-დანდი იუნ	1.30	5.00	8.00	1.03	1.11	3.07
18:00	592	ფოლკირკი-ინვერნესი	2.10	3.20	3.25	1.26	1.27	1.61
18:00	593	ჰართსი-კილმარნოკი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
18:00	594	მოზერველი-აბერდინი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
18:00	595	სტ მირენი-გრეტნა	1.40	4.40	6.50	1.06	1.15	2.62
		11 მაისი						
15:30	596	სელტიკი-ჰიბერნიანი	1.25	5.50	9.00	1.01	1.09	3.41
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		8 მაისი						
22:30	70	უნ ბერლინი-დინამო	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		შვეიცარია. ჩემპიონატი						
		8 მაისი						
22:00	155	ვადუცი-ბელინცონა	1.90	3.25	3.50	1.19	1.23	1.68
22:00	156	ვილი-ვოლენი	1.60	3.60	4.50	1.10	1.18	2.00
22:00	158	დელემონი-კონკორდია	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
22:00	159	გოსაუ-ლოზანა	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
22:00	160	ლოკარნო-ვინტერთური	1.90	3.25	3.50	1.19	1.23	1.68
22:00	161	ლუგანო-შო დე ფონი	1.95	3.25	3.30	1.21	1.22	1.63
22:00	162	შაფჰაუზენი-ცრინსი	2.25	3.25	2.70	1.32	1.22	1.47
22:00	163	სერვეტი-ზამი	1.35	4.30	6.75	1.02	1.12	2.62
		იტალია. სერია A						
		11 მაისი						
17:00	164	უდინეზე-კალიარი	1.80	2.80	5.00	1.09	1.32	1.79
17:00	165	რეჯინა-ემპოლი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
17:00	166	ჯენოა-ლაციო	2.05	2.70	4.35	1.16	1.39	1.66
17:00	167	ნაპოლი-მილანი	6.50	4.50	1.35	2.65	1.11	1.03
17:00	169	ფიორენტინა-პარმა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
17:00	171	პალერმო-სამპდორია	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
17:00	172	ინტერი-სიენა	1.10	7.40	18.00	1.00	1.03	5.24
17:00	174	იუვენტუსი-კატანია	1.70	3.20	5.20	1.11	1.28	1.98
17:00	176	ლიეორნო-ტორინო	2.60	3.10	2.50	1.41	1.27	1.38
17:00	177	რომა-ატალანტა	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		8 მაისი						
23:00	193	ესპანიოლი-ატლეტიკო	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		10 მაისი						
22:45	265	სტრასბური-კაენი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
22:45	267	ლილი-ლანსი	2.10	3.00	3.40	1.23	1.29	1.59
22:45	268	მეცი-ლორიანი	2.65	2.80	2.70	1.36	1.33	1.37
22:45	269	ლე მანი-მარსელი	3.20	3.00	2.20	1.54	1.30	1.26
22:45	270	ლიონი-ნანსი	1.45	3.80	6.40	1.04	1.18	2.38
22:45	272	ვალენსიენი-ნიცა	2.20	3.00	3.15	1.26	1.29	1.53
22:45	273	პსჟ-სტ.ეტიენი	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
22:45	275	ბორდო-სოშო	1.40	3.80	8.00	1.02	1.19	2.57
22:45	277	რენი-ტულუზი	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
22:45	278	მონაკო-ოსერი	2.45	2.30	3.80	1.18	1.48	1.43
		ბელგია. I დივიზიონი						
		9 მაისი						
22:30	302	ბრიუსელი-ვარეგემი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35
		10 მაისი						
22:00	299	ბრიუგე-ვესტერლო	1.45	3.75	6.20	1.04	1.17	2.33
22:00	301	დენდერი-გენტი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
22:00	303	გენკი-სტანდარდი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
22:00	305	ლოკერენი-რუზელარე	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
22:00	306	მეხელენი-სტ.ტრუიდენი	1.60	3.60	4.70	1.10	1.19	2.03
22:00	307	მუსკრონი-ბეერსხოტი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
22:00	308	მონსი-ანდერლეხტი	4.70	3.60	1.60	2.03	1.19	1.10
22:00	310	შარლეროა-სერკლი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		ჰოლანდია. პლეი ოფი						
		8 მაისი						
20:30	585	ჰერენვენი-ბრედა	1.75	3.50	4.00	1.16	1.21	1.86
22:00	586	ნაიმეგენი-გრონინგენი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		10 მაისი						
20:30	322	ნასიონალი-ბელენენსეში	2.40	3.00	2.80	1.33	1.29	1.44
22:45	323	ნავალი-პორტუ	6.50	3.70	1.45	2.35	1.18	1.04
20:30	325	ბრაგა-აკადემიკა	1.80	3.20	4.10	1.15	1.25	1.79
		11 მაისი						
21:00	321	ლეიშოეში-მარიტიმუ	2.05	2.75	4.00	1.17	1.35	1.62
23:15	326	სპორტინგი-ბოავიშტა	1.22	5.00	12.00	1.00	1.10	3.52
21:00	328	ლეირია-ფერეირა	3.85	3.25	1.85	1.76	1.24	1.17
23:15	329	ბენფიკა-სეტუბალი	1.44	3.85	6.50	1.04	1.17	2.41
23:15	330	გიმარაეში-ამადორა	1.35	4.00	9.00	1.00	1.17	2.76
		დანია. სუპერლიგა						
		8 მაისი						
20:30	415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	4.20	3.50	1.70	1.90	1.21	1.14
20:30	417	ოლბორგი-ორჰუსი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
22:30	418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	4.70	3.50	1.65	2.00	1.22	1.12
		შვედეთი. ალსვენსკა						
		8 მაისი						
21:00	446	მალმიო-გაის	1.55	3.70	5.40	1.09	1.20	2.19
21:00	447	გეფლე-სუნდსვალი	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
21:00	448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	1.60	3.50	5.20	1.09	1.22	2.09
21:45	449	ნორჩიოპინგი-აიკ	2.80	3.25	2.30	1.50	1.26	1.34
		ფინეთი						
		8 მაისი						
19:30	470	კუოპიო-ლაჰტი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
19:30	471	ინტერი-ჰაკა	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
20:00	472	ტამპერე-ტურკუ	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
19:30	473	ჰონკა-როვანიემი	1.55	3.70	5.40	1.09	1.20	2.19
19:30	474	მიუპა-იარო	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
19:30	475	ვპს-ჰიკ	3.80	3.25	1.85	1.75	1.24	1.17

რეიხსნა ლოტოს ახალი ფილიალი
მისამართი: ვაჟა ფშაველას მე-4 ხვ. II სართ.

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:30	476	მარიეჰამნი-კტპ	1.45	3.80	6.70	1.04	1.19	2.42
		ირლანდია						
		9 მაისი						
23:00	488	შემროკი-დერი	2.50	3.00	2.70	1.36	1.29	1.42
22:45	489	ბრეი-დროგედა	3.40	3.10	2.05	1.62	1.27	1.23
22:45	490	კორკი-სლიგო	1.65	3.20	5.20	1.08	1.25	1.98
22:45	491	გალვეი-ფინ ჰარპსი	2.05	3.10	3.40	1.23	1.27	1.62
22:45	492	სტ.პატრიკსი-დუბლინი	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
		10 მაისი						
22:45	493	კობი-ბოჰემიანი	4.00	3.30	1.80	1.80	1.24	1.16
		იტალია. თასი						
		8 მაისი						
23:00	36	კატანია-რომა	3.85	3.20	1.90	1.74	1.27	1.19
		ლიბერტადორესის თასი						
		8 მაისი						
23:45	578	რივერ პლეიტი-სან ლორენსო	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
23:45	579	კუკუტა-სანტოსი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
		ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი						
		10 მაისი						
17:00	587	მინდენი-ლიუბეკი	1.35	10.00	3.10	1.18	1.00	2.36
17:00	588	მაგდებურგი-ვილჰელმსჰავენი	1.10	12.00	7.50	1.00	1.00	4.61
19:00	589	მელსუნგენი-ბელინგენი	1.30	10.00	3.50	1.15	1.00	2.59
		11 მაისი						
17:00	590	ბერლინი-ლემგო	2.60	10.00	1.50	2.06	1.00	1.30

ფორმულა 1 თურქეთი რბოლა

9 მაისი

11:00	1001	გამარჯვებული	გლოკი	120.00
11:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	220.90
11:00	1001	გამარჯვებული	პიკე	120.00
11:00	1001	გამარჯვებული	კუბიცა	12.00
11:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	20.00
11:00	1001	გამარჯვებული	კოვალაინენი	30.00
11:00	1001	გამარჯვებული	ჰაიდფელდი	30.00
11:00	1001	გამარჯვებული	ტრული	50.00
11:00	1001	გამარჯვებული	უებერი	60.00
11:00	1001	გამარჯვებული	მასა	2.80
11:00	1001	გამარჯვებული	ჰემილტონი	5.50
11:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	1.90
11:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	130.00
11:00	1001	გამარჯვებული	ნაკაჯიმა	150.00
11:00	1001	გამარჯვებული	კულტხარდი	180.00
11:00	1001	გამარჯვებული	ფეტელი	200.00
11:00	1001	გამარჯვებული	ბურდე	200.00
11:00	1001	გამარჯვებული	სუტილი	200.00
11:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	90.00
11:00	1001	გამარჯვებული	როსბერგი	90.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10036	კატანია-რომა	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10193	ესპანიოლი-ატლეტიკო	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	4.60	2.10	2.15	1.44	1.46	1.06
10417	ოლბორგი-ორჰუსი	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	5.10	2.10	2.05	1.48	1.46	1.03
10446	მალმიო-გაის	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10447	გეფლე-სუნდსვალი	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10449	ნორჩიოპინგი-აიკ	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10585	ჰერენვენი-ბრედა	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10586	ნაიმეგენი-გრონინგენი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11036	კატანია-რომა	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11193	ესპანიოლი-ატლეტიკო	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11417	ოლბორგი-ორჰუსი	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11446	მალმიო-გაის	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11447	გეფლე-სუნდსვალი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11449	ნორჩიოპინგი-აიკ	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11585	ჰერენვენი-ბრედა	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11586	ნაიმეგენი-გრონინგენი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12036	კატანია-რომა	1.80	1.80
12193	ესპანიოლი-ატლეტიკო	1.80	1.80
12415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	2.00	1.60
12417	ოლბორგი-ორჰუსი	2.00	1.60
12418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	1.90	1.70
12446	მალმიო-გაის	1.70	1.90
12447	გეფლე-სუნდსვალი	1.70	1.90
12448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	1.80	1.80
12449	ნორჩიოპინგი-აიკ	1.70	1.90
12585	ჰერენვენი-ბრედა	2.20	1.50
12586	ნაიმეგენი-გრონინგენი	2.00	1.60

გოლი:ყვითელი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყვითლად)

17036	კატანია-რომა	1.85	1.95
17193	ესპანიოლი-ატლეტიკო	1.85	1.95
17415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	1.85	1.95
17417	ოლბორგი-ორჰუსი	1.85	1.95
17418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	1.85	1.95
17446	მალმიო-გაის	1.85	1.95
17447	გეფლე-სუნდსვალი	1.85	1.95
17448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	1.85	1.95
17449	ნორჩიოპინგი-აიკ	1.85	1.95
17585	ჰერენვენი-ბრედა	1.85	1.95
17586	ნაიმეგენი-გრონინგენი	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შსონი წაგებულად ჩაითვლება)

14036	კატანია-რომა	2.10	1.75
14193	ესპანიოლი-ატლეტიკო	2.00	1.80
14415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	2.40	1.45
14417	ოლბორგი-ორჰუსი	1.20	2.60
14418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	2.40	1.45
14446	მალმიო-გაის	1.30	2.50
14447	გეფლე-სუნდსვალი	1.70	2.20
14448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	1.30	2.50
14449	ნორჩიოპინგი-აიკ	2.00	1.80
14585	ჰერენვენი-ბრედა	1.45	2.40
14586	ნაიმეგენი-გრონინგენი	1.70	2.20

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15036	კატანია-რომა	3.00	2.80	2.00
15193	ესპანიოლი-ატლეტიკო	3.00	2.80	2.00
15415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	3.00	2.80	2.00
15417	ოლბორგი-ორჰუსი	3.00	2.80	2.00
15418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	3.00	2.80	2.00
15446	მალმიო-გაის	3.00	2.80	2.00
15447	გეფლე-სუნდსვალი	3.00	2.80	2.00
15448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	3.00	2.80	2.00
15449	ნორჩიოპინგი-აიკ	3.00	2.80	2.00
15585	ჰერენვენი-ბრედა	3.00	2.80	2.00
15586	ნაიმეგენი-გრონინგენი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16036	კატანია-რომა	2.20	1.50
16193	ესპანიოლი-ატლეტიკო	2.10	1.60
16415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	2.90	1.32
16417	ოლბორგი-ორჰუსი	1.10	5.50
16418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	3.30	1.25
16446	მალმიო-გაის	1.17	4.10
16447	გეფლე-სუნდსვალი	1.40	2.55
16448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	1.22	3.40
16449	ნორჩიოპინგი-აიკ	1.95	1.65
16585	ჰერენვენი-ბრედა	1.25	3.40
16586	ნაიმეგენი-გრონინგენი	1.34	2.80

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13036	კატანია-რომა	1.70	1.90
13193	ესპანიოლი-ატლეტიკო	1.70	1.90
13415	ლიუნგბიუ-ჰორსენსი	1.60	2.00
13417	ოლბორგი-ორჰუსი	1.90	1.70
13418	ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი	1.60	2.00
13446	მალმიო-გაის	1.80	1.80
13447	გეფლე-სუნდსვალი	1.70	1.90
13448	ჰალმსტადი-ლიუნგსკილე	1.80	1.80
13449	ნორჩიოპინგი-აიკ	1.70	1.90

ვინ დაიძახებს ჰოპლას?

კვარტეტი გადამწყვეტი კონცერტისთვის ემზადება

დღეს თბილისსა და რუსთავში სუპერლიგის პლეი ოფი გახურდება. ნახევარფინალური სერია სამ გამარჯვებამდეა და ოთხი საუკეთესო გუნდი ასეა დაწყვილებული: რეგულარული ჩემპიონატის მომგები „ენერჯი-ინვესტი“ „ვითას“ ხვდება, ხოლო „ავიამშენი“ თსუ-სთან გაარკვევს ურთიერთობას.

ოთხივე გუნდი განსხვავებულად ხვდება პლეი ოფს. ზოგს ტრავმები აწუხებს, ზოგსაც შეთამაშება აკლია, თუმც მიზანი ყველას ერთი აქვს — ჩემპიონობა. საკამათო არაა, რომ პირველობის შანსი ოთხივეს აქვს, თუმც გამორჩეული ფავორიტი მაინც „ენერჯი-ინვესტია“, რომელსაც მოედნის უპირატესობა უმაგრებს ზურგს. ამასთან რუსთაველები არც თბილისში იგრძნობენ თავს სტუმრად, რადგან სპორტის სასახლეში არც ერთი გუნდი არ ვარჯიშობს და იქაური ფიცარნაგი თუ ფარები ყველასთვის ერთნაირად შინაურია.

ორივე წყვილში საამსეზონო ანგარიში ერთნაირია. „ენერჯი-ინვესტმა“ რეგულარულ ჩემპიონატში 6-დან 4-ჯერ მოუგო „ვითას“, ისევე როგორც თსუ-მ — „ავიამშენს“, თუმცა ეს უპირატესობა პლეი ოფში მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ვინც კონკრეტულად დამდეგი მატჩებისთვის უკეთ იქნება მომზადებული, გამარჯვებაც მას დარჩება. ვიდრე ნახევარფინალური სერიები დაიწყებოდეს, მასში მონაწილე გუნდების თავკაცები კლუბ „თორმეტ მაგიდაში“ შეიკრიბნენ და საპლეიოფო სიტუაციასა და შანსებზე ისაუბრეს...

ნუგზარ ჭეიშვილი, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი:

„ოლ სტარმაც გამოაჩინა, რომ ჩვენი გუნდის მოთამაშეები კარგად არიან მომზადებულნი. სამი კონკურსიდან ორში ჩვენებმა იმარჯვეს. მხოლოდ ჩატენვებში ვერ ვიპირველეთ, მაგრამ ეს არაფერია. თითქმის თანაბარი ძალის გუნდები ვართ და ფორტუნა რომელსაც გაულიმებს, ფინალშიც ის გავა. ტრავმა, ისიც მცირე, მხოლოდ მიხეილ ფანჩულიძეს აწუხებს“.

ლევან მოსეშვილი, „ავიამშენის“ მთავარი მწვრთნელი:

„ტრავმებმა ძალიან დაგვაზარალა. ოთხ მოთამაშეს სერიოზული პრობლემა აქვს და აქედან ერთი, ირაკლი ხოშტარია, ალბათ ვეღარ დაგვეხმარება. გიორგი ნიკოლაძეს ნეკნი ჰქონდა გატეხილი, ახლახან მოუშუშდა და ვნახოთ, როგორი დატვირთით ითამაშებს. ასევე ახალი გამოჯანმრთელებულები არიან კოტე ტულუში და ვახტანგ მინაშვილი. პირველი მატჩი ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ვნახავთ, ვინ რა ფორმაში იქნება და მომავალ სტრატეგიასაც მერე განვსაზღვრავთ.

ამ ტრავმების გამო სათამაშო დრო გაეზარდა ნოდარ ბერაიას, რომელიც ძალიან ახალგაზრდაა და არაერთი პლუსი გააჩნია. ჩვენ მას განსაკუთრებულად ვამზადებდით და ახლა მისი დახმარება გვესაჭიროება. ვნახოთ, თუ გაამართლებს, ბევრი პრობლემა მოგვეხსნება“.

მიხეილ კობეშავიძე, „ვითას“ მწვრთნელი:

„ტრავმებმა ჩვენი გუნდიც ძალიან გატანჯა. ღმერთმა გადაგვარჩინა, რომ დავით ბერძენიშვილი სიკვდილს გადაურჩა. მან გულზე ურთულესი ოპერაცია გადაიტანა და ახლახან რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანეს. ფაქტობრივად, ცენტრის გარეშე ვართ დარჩენილნი. „ენერჯი-ინვესტის“ ძალიან სოლიდური შემადგენლობა ჰყავს და ფავორიტადაც ითვლება, მაგრამ უიმედოდ სულაც არ ვართ. თუ ჩვენი თამაში ვიპოვეთ, ფინალში გასვლაც შეგვიძლია და იქ წარმატების მიღწევაც“.

დავით უსტიაშვილი, „ენერჯი-ინვესტის“ მთავარი მწვრთნელი:

„პლეი ოფს სულ სხვა დატვირთვა აქვს აქ ყველაფერია მოსალოდნელი. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, აქამდე ვინ მეტჯერ მოიგო. ჩემმა გუნდმა რეგულარულში პირველობა კარგა ხნით ადრე გაინაღდა და ამან მეტოქეებზე დაკვირვების საშუალება მოგვცა. მომზადებულები კი ვართ, მაგრამ თავს არხეინად არ ვგრძნობთ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ უპირატესობას ვფლობთ, ფინალში გასასვლელად დიდი ბრძოლა მოგვიწევს“.

მაშ ასე, დღეს ოთხის თხუთმეტ წუთზე სპორტის სასახლეში „ავიამშენი“ და თსუ დაიწყებენ ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევას, ხოლო 19 საათზე რუსთავში — „ენერჯი-ინვესტი“ და „ვითა“.

ირაკლი პერტაია

NBA პლეი ოფი. მეორე წრე

ჯეიმსი დასვეს

6 მაისი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 1:0 კლივლენდი

ბოსტონი 76:72 კლივლენდი

ბოსტონი: გარნეტი (28 ქულა, 8 მოხსნა), რონდო (15), კასელი (13), პერკინსი (7 ქულა, 12 მოხსნა)

კლივლენდი: ილგაუსკასი (22 ქულა, 12 მოხსნა), შერბიაკი (13), ჯეიმსი (12 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი, 10 დაკარგვა)

ჩამოთვლაც არ სჭირდება, ლებრონ ჯეიმსს ისედაც ზეპირად ახსოვს თავისი კრახები: 2004 წელს „ჰიუსტონთან“ რეგულარულის რიგით თამაშში ბურთი საერთოდ ვერ ჩააგდო; შარშან „სან ანტონიოსთან“ ფინალური სერიის პირველ მატჩში ჩაფლავდა და ახლა, „ბოსტონთან“ თამაშში 18 ტყორცნიდან 16 გააფუჭა და მარცხისთვის გაწირა თავისი „კლივლენდი“.

მარტო ბოლო წუთზე ჯეიმსი ბარე სამჯერ წავიდა გარღვევაზე და სამივეჯერ უშედეგოდ. ააცილა სამქულიანიც... მანამადე ერთ ეპიზოდში ის დრიბლინგით შეიჭრა ბოსტონელთა დაცვის რიგებში, შემართა თავისი დაკუნთული მარჯვენა, ბურთი ზედ კალათთან მიიტანა, თითები აჭკრა და... ააცილა, მიუხედავად იმისა, რომ ხელს არავინ უშლიდა.

„ისეთი ბურთები ვერ ჩავაგდე, რომ...“ — მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კალათბურთელს სათქმელიც არაფერი ჰქონდა, იმდენად უსუსური გახლდათ ის „ბოსტონ სელტიკსთან“ პირველ მატჩში. თანაც 10-ჯერ დაკარგა ბურთი.

საზოგადოდ, ეს შეხვედრა მძიმე და ჩახურული გამოდგა, ორივე გუნდი დაცვას უჭერდა და შემტეეებიც ამიტომ მოიკოჭლებდნენ. ბოსტონელებმა ლებრონს გზები შეუკრეს და ცხოვრება გაუძნელეს, მაგრამ ასეთივე დღეში იყვნენ სხვებიც, კერძოდ „ბოსტონის“ ვარსკვლავები — რეი ალენი და პოლ პირსი. ალენს ქულაც არ გაუკეთებია, პირსმა კი 14 სროლიდან 12 გააცუდა და თამაშიც ამიტომ დამთავრდა ასეთი მწირი ანგარიშით. ისევ მეფარეები თუ ახერხებდნენ რაღაცას — მასპნძელთაგან კევინ გარნეტი, სტუმართაგან კი ჟიგი ილგაუსკასი.

მაგრამ სურათი ალბათ მეორე თამაშიდან შეიცვლება, პერიმეტრიც გაიხსნება, ლებრონიც ალბათ გონს მოვა, ალენ-პირსიც ჩააგდებენ ჩასაგდებს და თამაშიც უფრო ამოდ სანახავი გახდება.

ივანე კობიაშვილი

კობის კოდმაც დაფქვა

რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის ვინაობა რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, სამშაბათს კი კობი ბრაიანტი ოფიციალურად დასახელდა ნბა-ში ყველაზე დიდრონი ინდივიდუალური პრიზის მფლობელად.

ბრაიანტი პირველად გახდა უძვირფასესი და აისრულა თავისი უკანასკნელი უდიდეს ოცნებათაგანი. ის სამჯერ გახლდათ ჩემპიონი, ორჯერ იყო პირველი ბომბარდირი და ახლა დიდი სამკუთხედიც ასე შეკრა. მძლავრი სეზონი ჰქონდა ლებრონ ჯეიმსს, ვინაც ბომბარდირთა დავაში აჯობა ბრაიანტს, ფენომენალური იყო კრის პოლი, თავის ახალ გუნდს რეგულარული ჩემპიონატი მოაგებინა კევინ გარნეტმა, მაგრამ მედიამ საუკეთესოდ მაინც კობი დაასახელა, რადგან ასოციაციის ყველაზე თავკერძა ვარსკვლავმა ბოლოს და ბოლოს ისწავლა თანაგულდელთა დაფასება და გუნდური თამაშის პრინციპებსაც მეტი პატივი დასდო.

„ეს არაა ინდივიდუალური ჯილდო — ეგოიზმისგან რომ განიკურნა, ამის წარმოჩენა კობიმ ამ სიტყვაშიც სცადა — ჩვენ ყველამ ერთად, მთელმა გუნდმა მოვიპოვეთ ის“. პრესკონფერენციაზე ის განუწყვეტლივ ხუმრობდა და იმოწმებდა იქვე მყოფ თანაგუნგელებს. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას არ გამოჰკლებია არც „ლეიკერსის“ თავკაცი და ბრაიანტის ბოლოს და ბოლოს აღმზრდელი ფილ ჯეკსონი; ვისაც რბილად რომ ვთქვათ, ჭირვეულ შეგირდთან არაერთი კონფლიქტი გადახდა. ოსტატ-შეგირდი ერთმანეთს თბილად ეხვეოდნენ იმის ნიშნად, რომ ყველა უთანხმოება წარსულში დატოვეს.

მისი გუნდი ვახსენეთ და, ესეც ვთქვათ, ბრაიანტი ამ ჯილდოს მფლობელი მეოთხე ლეიკერსელია, ქარიმ აბდულ-ჯაბარის, მეჯიქ ჯონსონისა და შაკილ ონილის შემდეგ.

126 გამოკითხული საკალათბურთო ჟურნალისტიდან უკლებლივ ყველამ მისცა მას ხმა, მათგან 82-მა პირველი ხმა არგუნა და ბრაიანტმაც საგრძნობი უპირატესობით გაასწრო ყველა კონკურენტს. შარშანდელმა უძვირფასესმა, დალასელმა დირკ ნოვიცკიმ მხოლოდ რამდენიმე მეხუთე ხმა მიიღო და გამოკითხვის სიღრმეში ჩაიკარგა.

ივანე კობიაშვილი

	I	II	III	IV	V	ქულა
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)	82	32	10	2	-	1100
კრის პოლი (ნიუ ორლეანი)	28	64	32	2	-	894
კევინ გარნეტი (ბოსტონი)	15	23	56	26	1	670
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)	1	7	28	77	8	438
დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)	-	-	-	7	39	60
ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)	-	-	-	3	18	27
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)	-	-	-	2	19	25
ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი)	-	-	-	2	13	19
სტივ ნეში (ფინიქსი)	-	-	-	4	6	18
მანუ ჯინობილი (სან ანტონიო)	-	-	-	-	9	9
დირკ ნოვიცკი (დალასი)	-	-	-	-	5	5
დერონ უილიამსი (იუტა)	-	-	-	-	4	4
კარმელო ენტონი (დენვერი)	-	-	-	1	-	3
პოლ პირსი (ბოსტონი)	-	-	-	-	1	1
რაშიდ ვოლესი (დეტროიტი)	-	-	-	-	1	1
კარლოს ბუზერი (იუტა)	-	-	-	-	1	1
ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი)	-	-	-	-	1	1

ყველა უძვირფასესი

1955-56	ბობ პეტიტი (სენტ ლუისი)
1956-57	ბობ კოუზი (ბოსტონი)
1957-58	ბილ რასელი (ბოსტონი)
1958-59	ბობ პეტიტი (სენტ ლუისი)
1959-60	უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია)
1960-61	ბილ რასელი (ბოსტონი)
1961-62	ბილ რასელი (ბოსტონი)
1962-63	ბილ რასელი (ბოსტონი)
1963-64	ოსკარ რობერტსონი (ცინცინატი)
1964-65	ბილ რასელი (ბოსტონი)
1965-66	უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია)
1966-67	უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია)
1967-68	უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია)
1968-69	ვეს ანსელდი (ვაშინგტონი)
1969-70	უილის რიდი (ნიუ იორკი)
1970-71	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (მილუოკი)
1971-72	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (მილუოკი)
1972-73	დეივ კოუენსი (ბოსტონი)
1973-74	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (მილუოკი)
1974-75	ბობ მაკადუ (ბუფალო)
1975-76	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (ლეიკერსი)
1976-77	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (ლეიკერსი)
1977-78	ბილ უოლტონი (პორტლენდი)
1978-79	მოზეს მელოუნი (ჰიუსტონი)
1979-80	ქარიმ აბდულ-ჯაბარი (ლეიკერსი)
1980-81	ჯულიუს ირვინგი (ფილადელფია)
1981-82	მოზეს მელოუნი (ჰიუსტონი)
1982-83	მოზეს მელოუნი (ფილადელფია)
1983-84	ლარი ბერდი (ბოსტონი)
1984-85	ლარი ბერდი (ბოსტონი)
1985-86	ლარი ბერდი (ბოსტონი)
1986-87	მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი)
1987-88	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1988-89	მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი)
1989-90	მეჯიქ ჯონსონი (ლეიკერსი)
1990-91	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1991-92	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1992-93	ჩარლზ ბარკლი (ფინიქსი)
1993-94	ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი)
1994-95	დევიდ რობინსონი (სან ანტონიო)
1995-96	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1996-97	კარლ მელოუნი (იუტა)
1997-98	მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1998-99	კარლ მელოუნი (იუტა)
1999-00	შაკილ ონილი (ლეიკერსი)
2000-01	ალენ აივერსონი (ფილადელფია)
2001-02	ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2002-03	ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2003-04	კევინ გარნეტი (მინესოტა)
2004-05	სტივ ნეში (ფინიქსი)
2005-06	სტივ ნეში (ფინიქსი)
2006-07	დირკ ნოვიცკი (დალასი)
2007-08	კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)

რაინდი ესე არს...

ზურაბ ჭინჭარაძე არ გაფრანგდება

ზურაბ ჭინჭარაძემ „სარბიელის“ რედაქციას დანაპირები შეუსრულა: შარშან ზაფხულს საფრანგეთიდან გამოგვიგზავნა სომიურის საცხენოსნო სკოლის პედაგოგის, საფრანგეთის არმიის მაიორის, საპატიო ლეგიონის ორგზის კავალერის ივანე ვაჩნაძის პორტრეტი; მერე კი მის ძველ მეგობრებთან მოიძია სხვა ფოტოებიც და უკვე კიევიდან სააღდგომოდ ჩამოსულმა გადმოგვცა.

ამ ფოტოებზე ივანე ვაჩნაძე ამხედრებულია. ერთზე, უფრო ადრინდელზე, აღბეჭდილია 1964 წლის ოლიმპიადაზე საფრანგეთის ნაკრების სპორტსმენის, ბრინჯაოს მედლის მფლობელის პიერ დიურანის ბედაური „გულიანო“, რომელიც ვაჩნაძემ მოამზადა. ესაა ნამდვილი სამჭიდის მებრძოლი, „ფრანგულ ცხენად“ წოდებული (ძირითადად, ადგილობრივი ანგლოარაბების შემდგომი სელექციით გამოყვანილი), დიდი საველე დატვირთვისთვის გაწაფული, „გაწურული“, როგორც ჩვენს მთაში იტყვიან. მეორე ფოტო მხედრის ერთ-ერთი ბოლო სურათია (ი. ვაჩნაძე 1976 წელს გარდაიცვალა). აქ იგი საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის მრჩევლის ცხენს ავარჯიშებს მანეჟზე

— ფოტოებისთვის დიდი მადლობა; მაგრამ როგორ დამთავრდა შენი, თითქმის ერთწლიანი სწავლა სომიურის სკოლაში?

— ყველაფერი კარგად იქნებოდა, უკან კიევში დაბრუნებისას საკუთრი 9 წლის ფაშატი რომ არ დამლუპოდა. ჰანოვერული ჯიშის იყო, დაბრკოლებათა გადალახვისთვის უკვე საფუძვლიანად მომზადებული და გაწვრთნილი (საგამოცდო კონკურში, 140 სმ სიმაღლეზე, 64 მონაწილეს შორის მეორე ადგილზე გავედით). უკრაინის სახელმწიფო საზღვარზე გადმოყვანისას, ჩვეული სასაზღვრო პროცედურების გამო, ცხენსაზიდზე აგვისტოს პაპანაქებაში დიდხანს გაჩერეს, დაისიცხა და მერე კიევში ველარ გამოვაბრუნეთ; თორემ სხვა მხრივ სამდურავი არ მეთქმის. მივიღე ცხენოსნობის მწვრთნელის დიპლომი — კლასიკური ცხენოსნობის სამივე სახეობაში (გაწვრთნილობა, კონკური, სამჭიდი). ჩვენი ჯგუფის 6 წევრიდან ხუთმა დახელოვნების VIII საფეხურს მივაღწიეთ (აქ ამ ხარისხებს „გალოპს“ უწოდებენ). ფრანგული კლასიფიკაციით მხედრის ტექნიკური მომზადება 9 საფეხურით განიზომება. ამ სკოლაში რომ მიგიღონ, VI გალოპის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდე. უშუალოდ სპორტული შედეგები ცალკე აღინუსხება და მათი კვალიფიკაცია ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციის ხელთაა.

— გერმანული პრინციპი თითქოს უფრო მარტივია...

— შეიძლება, მაგრამ ფრანგულშიც ისეა ყველაფერი დაკონკრეტებული, რომ არც სპორტსმენებს და არც გამომცდელებს რამე სირთულეს არ უქმნის. ჩასაბარებლად ვიდეომასალა გავაგზავნე (უკრაინის სპორტულ ასპარეზობებზე გადაღებული). მაგრამ ეს სწავლების პირველ ეტაპს აკმაყოფილებს. მეორე ეტაპის წარმატებული გავლა ინსტრუქტორის წოდებას განიჭებს. აქ უკვე საგამოცდოდ კონკურსის გავლა გმართებს და აუცილებლად ფრანგული წერა-კითხვა უნდა იცოდე. „წერა“ კი მეცადინეობების აღწერა-გაანალიზებას, რეფერატების შედგენასაც გულისხმობს. ამიტომაც, დავბრუნდი თუ არა კიევში, ფრანგულს ვსწავლობ, სომიური აღარ მეთმობა, ეგებ 2009-ისთვის შევძლო კიდეც ჩაბარება.

— მანამდე?..

— მანამდე ვიმუშავებ. ევროსაბჭოს პროექტში ჩამრთეს მეცხენეობის ექსპერტად. ეს პროექტი ევრაზიის ტრამალების რეაბილიტაციის საკითხებს ამუშავებს.

— უცხენოდ დარჩენა არ გიჭირს?

— სულ უცხენოდაც არ ვარ. აქაურმა ახლობელმა მხედრებმა გამიწიეს რეკომენდაცია ცხენოსნობის მოყვარულებთან. ბედი არ გინდა? 2009-მდე მომიწია სომიურში ჩასვლა! უკრაინელი ბიზნესმენია, ვიაჩესლავ კაიპეკი; 52 წლის ვაჟკაცია, ძველი მორაგბე, სპორტის ოსტატი, პრეზიდენტის მრჩეველიცაა. იმის 5 წლის ფაშატს ვავარჯიშებ, „უპეგეა“ — „უკრაინული ჯიშობრივი ჯგუფი“, „ფანტაზია“ ჰქვია. კაიპეკი გულღია, ხალისიანი კაცია. სომიურის ამბები მაამბობინა. მერე თავისი სურვილიც გამანდო: საცხენოსნო ეროვნული სკოლის გახსნა სწადია, კლასიკური სახეობების, მაღალი დონის... ფასიანი იქნება, რა თქმა უნდა, მაგრამ ნიჭიერ, ხელმოკლე ოჯახის ბავშვებსაც ვუპატრონებო .ეგებ სომიურელები დაგვეხმარონ ოპტიმალური მოდელის შემუშავებაში, თუ შეგიძლია დამაკავშიროო. დაველაპარაკე დომინიკ ზიგვარდს, ჩემს უშუალო მწვრთნელს. უმალ ამოქმედდა; გვიპასუხა, ასე მითხრეს უფროსებმა, სახელმწიფო დონეზე აჯობებს საქმის დაწყებაო. უკრაინის პირველი პრეზიდენტის კრავჩუკის (ამჟამად დეპუტატია) მიმართვა წავიღეთ. სამნი წავედით, ახლახან, აპრილის თვეში: კაიპეკიმ უკრაინელი მხედარი, სამჭიდელი მიხაილ პავლიუჩენკოც წამოიყვანა. ჩემზე 4-5 წლით უფროსია, 40 წლის ძლიერი სპორტსმენია.

ის სურათები, აქ რომ გაჩვენეთ, სკოლის ძველი შეუმხედრის, გამოჩენილი ფრანგი სპორტსმენისა და თეორეტიკოსის, გენერალ მარგოს ქვრივმა საოჯახო ალბომიდან გადმომცა შარშან. მერე კიევში ხარისხიანად ამომიბეჭდეს. ჩარჩოებში ჩავსვი და სომიურში წავიძღვანე. მაშინვე მიუჩინეს ადგილი სასწავლო კაბინეტებსა და ვაჩნაძის მემორიალურ აუდიტორიაში. ჩემი თანამგზავრები ცოტა გაკვირვებულებიც კი დარჩნენ ფრანგების მასპინძლობით. ცხენებიც გვიჩვენეს სახელმწიფო თავლიდან. უკრაინელებს არ ეძვირათ — კარგი, გაწვრთნილი სპორტული ბედაური 6 000 ევრო დაგიჯდებათო. კაიპეკის განზრახვას ანალოგიც აღმოაჩნდა. ადრე სომიურის ესპანელ კურსდამთავრებულს რამდენიმე წლის წინ გაუხსნია თავისი სკოლა, რომელიც ახლა სახელმწიფო საცხენოსნო სასწავლებლად იქცა.

— ასე რომ, ახალი სერიოზული სამსახურიც გიშოვნია და ეგაა... გეგმები ხომ არ შეგცვლია?

— პირიქით. ისე მოეწონათ სომიური, რომ პავლიუჩენკოც აპირებს 2009-იდან მწვრთნელთა კურსზე ჩაბარებას. ასაკი რა მოსატანია, ეს ცხენოსნობაში სავსებით ნორმალური ამბავია. მართალია, კაიპეკიმ ისიც მითხრა, ჩემთან თუ იმუშავებ, სკოლის ხარჯებს მე გადაგიხდი და სამჭიდის ცხენსაც გიყიდიო, მაგრამ მირჩევნია, საკუთარი თავის იმედად ვიყო. ჯერ ერთი, ინსტრუქტორის კურსი, რადგან სწავლას ვაგრძელებ, ჩემთვის უფრო ნაკლები ეღირება; საკუთარი ცხენის ყოლას რა სჯობია, მაგრამ ასეთი ფუფუნება საქართველოში ჩამოსვლას ხომ კიდევ რამდენიმე წლით გადამადებინებს?! იმ პატიოსანმა კაცმა სწავლის ფულიც გადამიხადოს, ცხენიც მიყიდოს და მერე ვუთხრა, იცით რა, ვიაჩესლავ ალექსანდროვიჩ, ნოსტალგია მომეძალა, თანაც ახალი ტრანსფერი ვიშოვე და შინ უნდა დავბრუნდე-მეთქი? მხედრები ასე არ იქცევიან...

— მაგრამ ამ კურსის შემდეგ სხვა, უფრო მაღალი სასწავლო საფეხურიც ხომ არ არსებობს?

— როგორ არა, მაგრამ ეს სასწავლო კურსი არაა. ეს სკოლის რჩეულ პედაგოგთა, სპორტსმენთა 40-კაციანი გუნდია — „შაოსანი მხედრები“, რომლებიც სკოლის, საერთოდ ფრანგული ცხენოსნობის, რაინდობის ტრადიციებს აგრძელებენ. რაოდენობა უცვლელია, სხვადასხვა გარემოებათა გამო გამოკლებულების ადგილს ახალი, ღირსეული კანდიდატები იკავებენ. ამჟამად ამ გუნდში 2 ქალია. ყველაზე ხანდაზმული მხედარი 62 წლისაა (თუმცა დიდხანს არ აპირებს მწყობრის მიტოვებას), უმცროსი — 35-ისა.

ესენი ძველი რელიგიურ-რაინდული ორდენების სულისკვეთებით ანთებული პიროვნებები არიან. მათ არავითარი მატერიალური პრივილეგიები არ გააჩნიათ. ხელფასსაც საშუალო დონის ფრანგ მოსამსახურეებზე, სულაც სკოლის რიგით თანამშრომლებზე მეტს არ იღებენ. უცხოელები თითოოროლა თუ გარეულა ამ ჯგუფში.

ნამდვილად შევეცდებოდი ამ ჯგუფში მოხვედრას. ეს იქნებოდა ჩემი სპორტული და მორალური იდეალის აღსრულება; მაგრამ ამისთვის უნდა „გავფრანგდე“, იქ უნდა დავრჩე, ეს კი სულაც არ შედის ჩემი ოჯახის სამომავლო გეგმებში.

ცხენოსნობისა და რაინდობის კავშირი, მადლობა ღმერთს, არც ქართული მხედრული სკოლისთვისაა უცხო...

—„რაინდი ეს არს ცხენთა გამწურთელი“, — ამბობს სულხან-საბა ორბელიანი...

— ჰოდა, მით უმეტეს, აჯობებს, სამშობლოში შევეცადო ჩემს ცხოვრებისეულ მიზანთან მიახლოება.

ნოდარ ებრალიძე

ქართველთქლაპია გლუშკო

მაკა ჩახნაშვილი

ზურაბ დოლაბერიძის ფოტო

თურქეთში, ანთალიის თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით, ქალთა 25-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს. ანთალიაში თავიდან ხუთი ქართველი იყო, თუმც ანა ჯიქია საკვალიფიკაციო ეტაპზე მეორე ჩვენებურ ოქსანა კალაშნიკოვასთან დამარცხდა და შემდეგ ანას ბედი სოფო ქვაცაბაიამაც გაიზიარა, ვისაც რეიტინგში 754-ე ადგილზე მყომა ებრაელმა ჯულია გლუშკომ 6:2 6:2 მოუგო.

საკვალიფიკაციო ბარიერი კალაშნიკოვამ და თინა ყავლაშვილმა დაძლიეს და ძირითად ბადეში სოფო შაფათავას შეუმხანაგდნენ. სამწუხაროდ, პირველი წრის შემდეგ ქართული სამეული დუეტად იქცა — ქვაცაბაიას მძლეველმა გლუშკომ არც კალაშნიკოვა დაინდო და 7:5 6:3 მოუგო.

შაფათავამ საწყის შეხვედრაში 2:6 6:4 6:2 სძლია კვალიფიკაციიდან წამოსულ რუსს, 22 წლისა და რეიტინგის 505-ე პოზიციაზე მყოფ ვარვარა გალანინას და მეორე წრეში მე-4 ნომრად განთესილ სლოვენიელ მისა ზეკ-პესკირიჩს დაუპირისპირდება, რომელმაც ავსტრალიელი ჯად ჰოპერი 6:2 6:2 დაამარცხა.

ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში ყავლაშვილმაც რუსი, ტურნირზე ორგანიზატორთა მიწვევით, ანუ „ვაილდ ქარდით“ მოხვედრილი ალინა ცეპლუხოვა დაამწუხრა — 6:0 6:3. ქართველ ჩოგბურთელს მეორე მეტოქედაც რუსი ერგო — 20 წლისა და კლასიფიკაციის 421-ე ნომერი მარინა შამაიკო, რომელმაც პირველ წრეში მე-6 ნომრად განთესილ პოლონელ ოლგა ბროზდას 6:4 6:3 ავჯობა.

25-ათასიანი ტურნირია იტალიურ ფლორენციაშიც. იქაურ თიხნარზე საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი მეხუთე ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში მაკამ 21 წლის ესპანელს, რეიტინგის 337-ე ნომერ სარა დელ ბარიო არაგონს მძაფრ ბრძოლაში 6:7 6:4 6:4 სძლია და ახლა კლასიფიკაციაში 212-ე ადგილზე მყოფ 19 წლის ბრაზილიელ ტელიანა პერეირას შეხვდება, რომელმაც ბელგიელი კვალიფიკანტი აპოლონია მელზანი 6:3 6:3 დაამარცხა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდული ინდიან ჰარბორ ბიჩის თიხნარზე კი 50-ათასიანი შეჯიბრი მიმდინარეობს. ანა ტატიშვილი იქ ძირითად ბადეშია და პირველ წრეში ამერიკელ ალექსა გლეტჩს ხვდება, ვისაც WTA-ს რეიტინგის 235-ე პოზიცია უკავია.

ალექსანდრე ოფიცეროვის ფოტო

ნაბიჯი ჩემპიონობამდე

მაკედონიის ხელბურთელთა ჩემპიონატი ფინიშისკენ მიდის და ჩვენებური რევაზ ჭანტურიას „მეტალურგი“ ჩემპიონობას სულ უფრო უახლოვდება. სეზონის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი და „მეტალურგი“ მთავარ კონკურენტ „ვარდარს“ სამი ქულით უსწრებს. უახლოესი ტური 10 მაისს გაიმართება. რეზოს გუნდი მე-4 ადგილზე მყოფ „პრესპას“ უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონი გახდება. თუ ისე მოხდა, რომ „პრესპას“ ვერაფერი მოუხერხეს, მაშინ რეზოსა და მის თანაგუნდელებს ბოლო ტურში, 24 მაისს, მესამე ადგილზე მყოფ „ბლადოსტთან“ მოუწევთ საჩემპიონო თამაშის გამართვა.

„მეტალურგს“ კარგი შანსი აქვს, წლეულს დუბლი გაახერხოს და ჩემპიონობის გარდა თასსაც გამოჰკრას ხელი. მაკედონიის თასის ფინალში მათი მეტოქე დაუძინებელი მტერი „ვარდარი“ იქნება.

ლექსო მაისურაძე

ჯეორსიტი QUARTZITE
ლიბერ
უძრავი ქონება

ქართული შვიდქალა ბოსნიაში

ბზიკების პირველი ევროპული

გუშინ ქართველი მორაგბე ქალები ბოსნია-ჰერცოგოვინაში გაფრინდნენ, სადაც იქაურ ზენიცაში დღეს ორდღიან რაგბობაში ჩაერთვებიან.

დავაკონკრეტოთ: ზენიცაში საქართველოს შვიდქალა ნაკრები გაფრინდა, რათა ევროპული შვიდქალა რაგბის სერიის ერთ-ერთ ეტაპზე ითამაშოს. ჩვენთვის ესეც მოვლენაა, რაკი ძნელად, ტრადიციული 15-ქალა რაგბისთვის ჯიგრიანი ქალები მოიძებნოს და მეორეც — ზენიცას ტურნირი ქართველი გოგოების პირველი ნაღდი სერიოზული გამოცდაა. აქამდე ზურაბ დუგლაძის გაწვრთნილი „ბზიკები“ ოდენ მეზობელ აზერბაიჯანელ დიაცებთან სპარინგებით ირთობდნენ თავს.

ბაბრი კბილაძის ფოტო

ზენიცაში სულ თორმეტი ნაკრები ირაგბებს, რომლებიც ორ ექვსგუნდა ჯგუფად დაიყვნენ. პლეი ოფში ჯგუფის სამი მოწინავე გადის, ჩარჩენილები კი მისხალი სარეიტინგო ქულებისთვის იბრძოლებენ.

კენჭისყრით ქართველი „ბზიკები“ რუმინეთის, ხორვატიის, ავსტრიის, ისრაელის და მასპინძელი ბოსნიის ნაკრებებთან მოხვდნენ. მეორე ჯგუფი კი ლიტველმა, ბულგარელმა, ფინელმა, ლატვიელმა, სერბმა და სლოვენიელმა ქალებმა შეადგინეს.

ზურაბ მიგრიაული

საქართველოს ნაკრები

ნინო არაბული
ნინო დევიძე
ნათია მესხი
თამთა მთვარაძე
ოლია ნაცვლიშვილი
ანა პოღოსიანი
მაკა ტყებუჩავა
მარიამ ქველიძე (კაპ)
თამარ ჩხუბიანიშვილი

მსოფლიოს ჩემპიონატი. პალიზაჟსი, კვებეკი. კანადა. 2-18 მაისი

B ჯგუფი

სლოვენია 0:3 ლატვია

0:0 0:2 0:1

0:1 ნიეკვიი (31), 0:2 შიროკოვი (32), 0:3 შიროკოვი (60)

კანადა 5:4 აშშ

2:0 1:2 2:2

1:0 ბარნსი (9), 2:0 ჰიტლი (20), 3:0 ტეივსი (21), 3:1 პარიზე (21), 3:2 ოსალივანი (24), 4:2 როი (44), 4:3 ბრაუნი (46), 4:4 პომინვილი (47), 5:4 ჰიტლი (60)

კანადა	3	0	0	0	17:5	9
აშშ	2	0	0	1	13:6	6
ლატვია	1	0	0	2	3:11	3
სლოვენია	0	0	0	3	2:13	0

D ჯგუფი

ჩეხეთი 7:2 იტალია

2:2 4:0 1:0

1:0 ერატი (1), 1:1 ამსოლდი (1), 1:2 ფონტანივი (4), 2:2 ვრბატა (5), 3:2 ფიდლიცკი (22), 4:2 ვრბატა (31), 5:2 ელიაში (38), 6:2 კუბა (40), 7:2 ჰლინკა (44)

რუსეთი 4:1 დანია

1:0 2:0 1:1

1:0 აფინოგენოვი (11), 2:0 ოვეჩკინი (28), 3:0 ფიოდოროვი (30), 4:0 გოროვიკოვი (43), 4:1 სტოლი (58)

რუსეთი	2	1	0	0	16:6	8
ჩეხეთი	2	0	1	0	16:9	7
დანია	1	0	0	2	9:11	3
იტალია	0	0	0	3	5:20	0

შენიშვნა: *I გრაფა — მოგება ძირითად დროში; II გრაფა — მოგება ოვერტაიმში; III გრაფა — წაგება ოვერტაიმში; IV გრაფა — წაგება ძირითად დროში; V გრაფა — შაიბების სხვაობა; VI გრაფა — ქულები*



კანადელებმა გადამწყვეტი შაიბა ბოლო წამებზე გაიტანეს

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

ყველაზე სწრაფი პატარა პრინცი



ჟოზეფ ჟილ ანრი ვილნევი
კანადა
დაიბადა 1950 წლის 18 იანვარს სენ-ჟან-სურ-რიშელიეში
დაილუპა 1982 წლის 8 მაისს ჰოლანდიაში კვალიფიკაციისას
ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1977-1982 წლებში
მსოფლიოს 1979 წლის ვიცე-ჩემპიონი
მოიგო 6 რბოლა: კანადა (1978), სამხრეთ აფრიკა, აშშ — დასავლეთი, აშშ — აღმოსავლეთი (სამივე 1979), მონაკო, ესპანეთი (1981)
67 რბოლა, 6 გამარჯვება, 13 პოდიუმი, 2 პოულ-პოზიცია, 8 უსწრაფესი წრე, 1 დიდი სლემი, 107 ქულა
გუნდები: „მაკლარენ-ფორდი" (1977), „ფერარი" (1977-1982)

ფორმულა 1-ის ისტორიაში იყო რამდენიმე მრბოლი, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს, თუმც არაერთ გვირგვინოსანზე უფრო ხმაურიანი სახელი დატოვეს. იმ თითებზე ჩამოსათვლელთა შორისაც კი გამორჩეულია ლეგენდარული ჟილ ვილნევი, კანადელი „პატარა პრინცი", რომელსაც, საერთო აზრით, არაერთი ტიტულიც შეეძლო მოეპოვებინა, მაგრამ მხოლოდ ერთგზის ვიცეჩემპიონობა მოასწრო.

უნიკალურ, უშიშარ რომანტიკოსს ბედმა მხოლოდ ოთხი სრული სეზონი „მოუზომა"და ასეთი მოკლე კარიერითაც მან წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ მანქანის მართვის ზესწრაფი და ყველასგან განსხვავებული, გიჟმაჯი მანერით, არამედ პიროვნული თვისებებითაც. მსოფლიოს 1979 წლის ჩემპიონ ჯოდი შეკტერის თქმით, ჟილი ავტოსპორტის ისტორიაში ყველაზე სწრაფი მრბოლი გახლდათ, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ იგი იყო ყველაზე გულწრფელი და პატიოსანი ადამიანი, ვინც კი ჯოდის ოდესმე შეხვედრია

ბერტივილი და ბარტე

ჟოზეფ ჟილ ანრი ვილნევი 58 წლის წინ დაიბადა ფრანგულენოვანი კვებეკის სოფელ სენ-ჟან-სურ-რიშელიეში, ფორტეპიანოს ამწყობის ოჯახში. რვა წლის შემდეგ ვილნევები მახლობლად, დაბა ბერტივილში გადასახლდნენ. ჟილს არ ეთაკილებოდა თავისი წარმოშობა, ხშირად უთქვამს, მე პროვინციელი ვარ ბერტივილიდანო.

მშობლები ცდილობდნენ, ჟილისა და მისი სამი წლით პატარა ძმის, ჟაკისთვის ბავშვობიდანვე ჩაენერგათ მაღალი ხელოვნების სიყვარული და თუ უმცროსი ვილნევი ოდნავ მაინც ამჟღავნებდა ოჯახის მუსიკალური ტრადიციებისადმი პატივისცემას, ჟილი ვერაფერმა ვერ აიძულა საკუთარი მისწრაფებისთვის ეღალატა. როცა 16 წლის შესრულდა, მართვის მოწმობა მიიღო და ავტომობილიც იყიდა, თუმც გიჟმაჯი ქროლით უკვე ორიოდ დღეში მძიმე ავარია შეემთხვა — მანქანაც დალეწა და თავადაც ისე დაშავდა, რომ მცირე ხნით საავადმყოფოში მოუწია ყოფნა.

მომავალი ავტოვარსკვლავი თავიდან თოვლმავლებით რბოლამ გაიტაცა. სწორედ იმ პერიოდში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე.

ჯოან ბარტე რვა წლის იყო, როცა მამამისმა ცოლი და ოთხი შვილი მიატოვა. მისის ბარტეს გულის თანდაყოლილი მანკის გამო მუშაობა არ შეეძლო, ამიტომ ჯოანს სკოლაში სიარულთან ერთად, შრომაც უწევდა, ოჯახის დასახმარებლად და გართობა-დასვენებისთვის დრო ცოტა რჩებოდა. ერთი სიტყვით, ქალიშვილს დალხენილი ახალგაზრდობა არ ჰქონია, მაგრამ ოპტიმიზმი და იუმორის გრძნობა ეხმარებოდა, შედარებით ადვილად გადაეტანა ყოფითი პრობლემები.

ჯოანის ერთ-ერთი დის საქმრომ იგი თავის მეგობარ ჟილს გააცნო, რომელმაც მანქანით პირველივე ფეთიანი გასეირნების შემდეგ სამუდამოდ მოხიბლა ქალიშვილი.

1970 წლის 17 ოქტომბერს შედგა მათი ჯვრისწერა — გაჭირვების გამო მხოლოდ ოჯახის წევრებისა და რამდენიმე მეგობრის თანდასწრებთ, რომლებიც მალე მიატოვეს და საქორწინო ღამე ქალაქგარეთ მოტელში გაატარეს. გაზაფხულზე ვაჟიშვილი შეეძინათ, ჟაკი, ორი წლის შემდეგ გოგონაც, მელანი.

გიჟმაჯი ვარსკვლავი

თოვლმავლებით ასპარეზობამ ვილნევს წარმატება და აღიარება მოუტანა: 1973 წელს კანადაში საუკეთესო გახდა, მომდევნო სეზონში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, მერე სამშობლოში კიდევ ერთხელ იპირველა. პარალელურად, ავტორბოლებიც დაეჭაშნიკა — ეს იყო „ფორმულა ფორდის" სერია. უკვე სადებიუტო სეზონში ათიდან შვიდი ეტაპი მოიგო, კვებეკის ჩემპიონობა მოიპოვა და „წლის ახალბედას" წოდებაც დაიმსახურა.

შემდეგ ჟილი უფრო მძლავრ და პრესტიჟულ „ფორმულა ატლანტიკში" გადავიდა, სადაც მალევე გახდა პირველი სიდიდის ვარსკვლავი. ეგაა, იმზანად ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ კარიერის გასაგრძელებლად სახლის გაყიდვაც კი მოუხდა:

„ეს „ატლანტიკში" ჩემი პირველი სეზონი იყო და ახალ გუნდში ადგილის მისაღებად 20 000 დოლარი უნდა გადამეხადა. იმედით ვიყავი, რომ ამ თანხას ზამთარში სწოლომობილით რბოლებში ვიშოვიდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მჭონდა დიდი ამერიკული სახლი ბორბლებზე, რომლის საფასური ჯერ ბოლომდე დაფარულიც კი არ იყო, ბოლოს და ბოლოს მისი გაყიდვა მომიხდა. ასე რომ, გარკვეული საბინაო პრობლემა შემექმნა".

ვილნევმა მომდევნო წელს აშშ-სა და კანადაში ორი „ატლანტიკური" ტიტულიც მოიპოვა. სწორედ მაშინ მოიგო ტრუა-რივიერაში ის საბედო ეტაპი, რომელმაც მისი მომავალი განსაზღვრა. იმ რბოლაში მონაწილეობა მიიღეს ფორმულა 1-ის მიწვეულმა ასებმაც — ჯეიმს ჰანტმა, რომელიც სწორედ იმ წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მომავალმა გვირგვინოსანმა ალან ჯოუნსმა, პატრიკ ტამბეემ, პატრიკ დეპაიემ.

ჟილმა კვალიფიკაცია ნახევარწამიანი უპირატესობით მოიგო, რბოლაშიც გრანდებს ფინიშთან დიდი სხვაობით მიასწრო და სისწრაფითა და მანქანის მართვის ზერისკიანი, არაორდინალური მანერით ყველა ისე გააკვირვა, რომ ჰანტმა მაშინვე დაურეკა თავის გუნდ „მაკლარენის" შეფს ტედი მაიერს, ერთი გიჟმაჯი კანადელი მრბოლი ვნახე და მისი ტესტებზე მოწვევა აუცილებელიაო.

ვილნევი ინგლისში ჩაფრინდა და რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ სტარტზე გასვლის უფლებაც მიიღო. „სამეფო რბოლებში" კვებეკელი „პატარა პრინცის" დებიუტი 1977 წლის 17 ივლისს შედგა დიდ ბრიტანეთის გრან პრიზე.

საოცნებო „ფერარი"

დებიუტს ურიგო არ ეთქმოდა. ვილნევმა კვალიფიკაციაში მეცხრე დრო აჩვენა, რბოლის ფინიშზე კი 26 მონაწილეს შორის მე-11 მივიდა და ძრავის გადახურება რომ არა, ალბათ, ქულებსაც მოიპოვებდა, მაგრამ დანაპირები ხანგრძლივი კონტრაქტი მაინც არ გაფორმდა, რადგან კანადელი პილოტის უცნაურმა, თავქარიანმა სტილმა მაიერზე დადებითი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

ვინ იცის, რა გზით წავიდოდა ჟილის კარიერა, იქ, ინგლისში, მისთვის თვით ენცო ფერარის რომ არ მიექცია ყურადღება:

„თავიდან „მაკლარენთან" სამწლიან კონტრაქტზე იყო ლაპარაკი და რაკი სილვერსტოუნში რბოლისას საქმე ცუდად არ წამსვლია, იმედი მქონდა, რომ გუნდში დამტოვებდნენ, მაგრამ ორი კვირის შემდეგ მაცნობეს, რომ ჩემთან თანამშრომლობას არ აპირებდნენ და შემეძლო, სხვა საჯირიბოსთან მეწარმოებინა მოლაპარაკება. ერთი თვეც არ გასულა, რომ „ფერარიდან" დამირეკეს და მათთან გადასვლა შემომთავაზეს. ცხადია, დავთანხმდი, „ფერარი" ხომ ჩემი ოცნების გუნდი იყო."

„სკუდერიასთან" კონტრაქტით მან მრავალწლიანი ვალებიც გაისტუმრა და ზღვისპირა კანში ვილაც იყიდა, აგრეთვე ვერტმფრენი და იახტა.

ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად კი გამოუკეთდა, მაგრამ ტრასებზე პრობლემები არ ელეოდა, რადგან წითელ მუსტანგს სისწრაფეც აკლდა და საიმედოობაც. ვილნევი ცდილობდა, ჯაგლაგი ბოლიდისგან შესაძლებელზე მეტი გამოეწურა, ამიტომაც ხშირად ხვდებოდა ავარიებში და უმოწყალოდ ლეწავდა ფერარის ქმნილებებს, რომლებიც ბოსს საკუთარი შვილებივით უყვარდა, მრბოლებზე მეტადაც, რომელთაც მეორე პლანზე აყენებდა და უმცირესი მიზეზის გამო ადვილად იშორებდა გუნდიდან, კანადელს კი გამორჩეული სიმპათიით ეპყრობოდა, თუმც მან ყველაზე მეტი მანქანა დაუმტვრია.

ფერარისთვის მძღოლის იდეალი თანამემამულე ტაკიო ნუვოლარი გახლდათ, გასული საუკუნის 30-40-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მრბოლი. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ხუან მანუელ ფანჯიოს თქმით, გამორჩეულად სწრაფი და ტექნიკური ვილნევი იყო ერთადერთი, ვისაც კომენდატორე ნუვოლარის ადარებდა: „ჩემი თაობის პილოტებისთვის ნუვოლარი კერპი იყო. ყველანი ვოცნებობდით, დიადი იტალიელის მსგავსნი ვყოფილიყავით, ვცდილობდით, გაგვემეორებინა ის, რასაც იგი რბოლისას აკეთებდა, მაგრამ... მხოლოდ ვცდილობდით. თავად ფერარის მიერ ნუვოლარისთან შედარება უმაღლესი შეფასებაა".

ღალატი

კვებეკელ „პრინცს" პირველი სრული სეზონი უხეირო „ფერარით" უხეირო გამოუვიდა, მანქანა ხშირად ფუჭდებოდა და სულ რაღაც 17 ქულით საბოლოოდ მხოლოდ მეცხრე ადგილი დაიკავა.

1979 წელს ჟილის პარტნიორი სამხრეთაფრიკელი ჯოდი შეკტერი იყო. კანადელს ჩემპიონობის შანსი კი ჰქონდა, მაგრამ რაკი გუნდის პირველ ნომრად ჯოდი ითვლებოდა, გზის დათმობა მოუხდა. იტალიაში „მონცაზე", ფერარელთა პრინციპის შესაბამისად — ვინც სტარტზე წინ დგას, ფინიშთან ის უნდა მივიდეს ადრე, თანაგუნდელს არც შებრძოლებია, მით უმეტეს, რომ გამარჯვების შემთხვევაში შეკტერი ვადამდე ინაღდებდა ტიტულს:

„რა თქმა უნდა, შემეძლო ჯოდის გასწრება, მაგრამ თამაშის წესები ვიცოდი და სიტყვა მივეცი. ეს მისი დღე იყო და არ ღირდა მაყურებლებისთვის მეჩვენებინა, რომ უფრო სწრაფი ვარ. გასწრება არც მიცდია, უბრალოდ, მოხარული ვიყავი, რომ ყველაფერი დასრულდა და გუნდური ტაქტიკა საჭირო აღარაა. ჩემი დრო კიდევ დადგება, რადგან ეფიქრობ, ორმოც წლამდე შევძლებ რბოლებში მონაწილეობას".

ერთი სიტყვით, ვილნევმა „სუფთად ითამაშა" და სიტყვას არ გადაუხვია, სამი წლის შემდეგ კი, შეიძლება ითქვას, რომ თანგუნდელ დიდე პირონისგან პირის გატეხვას ემსხვერპლა.

ჟილს აფრთხილებდნენ ფრანგის რთული ხასიათის შესახებ, მაგრამ ჟურნალისტების რეპლიკას ყურადღებას არ აქცევდა. მხიარული, თანატოლი ახალგაზრდები მალე დამეგობრდნენ, თუმც, როგორც აღმოჩნდა, სულ მცირე ხნით. 1982 წლის 25 აპრილს სან მარინოს გრან პრიზე პირველი ადგილისთვის ბრძოლის პრინციპი არად ჩააგდო და მეგობარს მოგება „მოჰპარა".

„იმოლაზე" რბოლის ფინიშამდე 15 წრით ადრე ლიდერ რენე არნუს „რენო" ძრავის პრობლემის გამო ბრძოლას გამოეთიშა. „ფერარის" შტაბიდან თავიანთ პილოტებს მაშინვე სთხოვეს, აღარ ეჩქარათ და პოზიციები შეენარჩუნებინათ, რათა პრაქტიკულად განაღდებული დუბლით გამარჯვება უაზრო რისკით ხელიდან არ გაეშვათ. ვილნევი პირველი მიდიოდა, პირონი — მის უკან. კანადელი მოგებაში დარწმუნებული იყო და ოდნავ შეამცირა სისწრაფე, ფრანგმა კი პირიქით, მოუმატა და გაასწრო. ჟილმა ჩათვალა, რომ ეს პუბლიკაზე თამაში იყო და მალე დაიბრუნა ლიდერობა, მაგრამ ბოლოსწინა წრეზე დიდიემ სახიფათო მანევრით ისევ აუარა გვერდი, ხოლო შემდეგ მკვეთრად დაბლოკა თანაფერარელის ცდა, სტატუს-კვო აღედგინა.

პოდიუმზე ჟილს თანაგუნდელისთვის ხელი არ ჩამოურთმევია. იგი გაცოფებული იყო და დაიფიცა, რომ პირონის აღარასოდეს გასცემდა ხმას:

„ფინიშის შემდეგ მისთვის სიტყვაც არ მითქვამს და არასოდეს აღარ ვაპირებ დალაპარაკებას. შემდგომში სამაგიეროს გადავუხდი, ახლა ჩვენ მტრები ვართ".

ენცო ფერარიმ ინციდენტში ვილნევის მხარე დაიჭირა.

ტრაგიკული ზოლდერი

13 დღის შემდეგ ტრაგედია მოხდა. ბელგიაში კვალიფიკაციისას თავიდან საუკეთესო დრო ვილნევმა აჩვენა, მერე მისი შედეგი სწორედ პირონიმ გააუმჯობესა. ჟილი ამას როგორ აიტანდა, გააფთრებული გავარდა ზოლდერის ტრეკზე ჰოულ-ჰოზიციის დასაბრუნებლად. მიზნის მიღწევა არ გასჭირვებია, თუმც მაინც წავიდა მეორე სწრაფ წრეზე შედეგის უფრო გასაუმჯობესებლად, მაგრამ 224 კმ/სთ სისწრაფეზე ნელა მიმავალი იოხენ მასის „მარჩის" გვერდის ავლა ვეღარ შეძლო. „ფერარის" წინა ბორბალი „მარჩის" უკანას ეძგერა, წითელი ბოლიდი ჰაერში ავარდა და ასიოდე მეტრი იფრინა, მერე კი ასფალტს ისეთი ძალით დაენარცხა, რომ უსაფრთხოების ღვედები დასკდა და კოკპიტიდან ამოსროლილი მრბოლი მოშორებით, დამცავ ბარიერზე დაეცა. ექიმმა ადგილზე ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა, ათ წუთში კი ვერტმფრენით ლოვერნეს ჰოსპიტალში გადაიყვანეს. ჟილს თავის ტვინისა და კისრის ისეთი მძიმე ტრავმები აღმოაჩნდა, რომ 7 საათში გონსმოუსელელად გარდაიცვალა.

32 წლის ვილნევის ცხედარი, ორი დღეს კანადის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალისტ სამშობლოში გადაასვენეს და ბერტივილში დაკრძალეს.

ჟილის ქალიშვილმა, მელანიმ, იურისტის კარიერა აირჩია, ჟაკი კი, ამ საშინელი ტრაგედიის მიუხედავად, მამის პროფესიას გაჰყვა და 15 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა. ოღონდ, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა.

ზია ახალაძე

კლოდენის რომანდია

ამ რამდენიმე დღის წინ შვეიცარიაში პროტურის სერიის რბოლა, ხუთეტაპა „რომანდიის ტური“ დასრულდა. პირველობა ლუქსემბურგში დარეგისტრირებული ყაზახური ველოგუნდის, „ასტანას“ გერმანელმა მრბოლმა ანდრეას კლოდენმა მოიპოვა, რომელმაც გენერალურ კლასიფიკაციაში 35 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ჩეხ რომან კროიციგერს, ვინც იტალიური „ლიქუიგასის“ წევრია. მესამეზე კლოდენთან 43-წამიანი ჩამორჩენით ამერიკული „ჰაი როადის“ იტალიელი მარკო პინოტი გავიდა.

„რომანდიის ტურის“ დასრულებისთანავე UCI-მ (ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი) პროტურის სერიის ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა. კლასიფიკაციას სათავეში, კვლავაც იტალიელი დამიანო კუნეგო უდგას, ვისაც კვალში გერმანელი ანდრე გრეიპელი და ესპანელი ალბერტო კონტადორი მისდევენ. შვეიცარიაში გამარჯვების წყალობით ერთბაშად მეხუთე პოზიციაზე აინაცვლა კლოდენმა და ახლა იგი ლიდერს 19 ქულითღა ჩამორჩება.

ტოპ-ოცეულში ყველაზე მეტი, ხუთი წარმომადგენელი კვლავაც ესპანელებს ჰყავთ. იტალიელები მოწინავეთა შორის სამი მრბოლით იწონებენ თავს, გერმანელები, ბელგიელები და ფრანგები — ორ-ორით, ხოლო ჰოლანდია, ავსტრალია, ჩეხეთი, ლუქსემბურგი, შვეიცარია და რუსეთი თითო ველოსიპედისტით არიან წარმოდგენილნი.

გუნდებიდან ელიტაში ყველაზე მეტი, 4 მრბოლი ჰყავს ჰოლანდიურ „რაბობანკს“. ორ-ორი ველოსიპედისტით იწონებენ თავს იტალიური „ლამპრე“, „ასტანა“, „ჰაი როადი“ და ფრანგული „ფრანსაიზ დე ჟუ“, ხოლო კიდევ რვა გუნდი თითო კაცით არის წარმოდგენილი.

პრო ტურის რეიტინგი

მრბოლები

1. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლაპრე“)	73
2. ანდრე გრეიპელი (გერმანია, „ჰაიგ როადი“)	62
3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“)	55
4. ტომას დეკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი“)	54
5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“)	53
6. სტიინ დევოლდერი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“)	50
7. ხოსე როხას ხილი (ესპანეთი, „კაის დეპარნი“)	45
8. მიგელ ასტარლოა (ესპანეთი, „ეუსკალტელი“)	45
9. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“)	42
10. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი“)	40
11. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, „ლიქუიგასი“)	40
12. ნიკ ნუიენსი (ბელგია, „კოფიდისი“)	40
13. მარკო პინოტი (იტალია, „ჰაიგ როადი“)	35
14. ხუან ანტონიო ფლეშა (ესპანეთი, „რაბობანკი“)	35
15. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	32
16. აურელიენ კლერკი (შვეიცარია, „ბუუ ტელეკომი“)	30
17. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი“)	30
18. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“)	30
19. მიშელ დელაჟი (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ)	30
20. სანდი სეზარი (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ)	30

გუნდები: 1. ასტანა (ყაზახეთი-ლუქსემბურგი) 90 ქულა; 2. კაის დეპარნი (ესპანეთი) 87; 3. CSC (დანია) 84; 4. გეროლშტაინერი (გერმანია) 76; 5. რაბობანკი (ჰოლანდია) 75; 6. ჰაიგ როადი (აშშ) 74; 7. ლოტო (ბელგია) 73; 8. სონი დიუვალი (ესპანეთი) 70; 9. ფრანსაიზ დე ჟუ (საფრანგეთი) 67; 10. ლიქუიგასი (იტალია) 66

ქვეყნები: 1. ესპანეთი 223 ქულა; 2. იტალია 178; 3. ბელგია 150; 4. გერმანია 140; 5. საფრანგეთი 98; 6. ავსტრალია 63; 7. ჰოლანდია 58; 8. ლუქსემბურგი 53; 9. ჩეხეთი 40; 10. რუსეთი 37

ჯირომ და ვუელტამ ასტანას კარი გაუღეს

ლუქსემბურგში დარეგისტრირებული და ყაზახური ფულით შექმნილი ველოგუნდი „ასტანა“ შარშანდელი დოპინგსკანდალების მთავარი „გმირი“ იყო და ამიტომაც, დიდი ველოტურების — „ტურ დე ფრანსის“, „ჯირო დიტალიასა“ და „ვუელტა ესპანას“ ორგანიზატორებმა წლეულს მოწვევაზე უარი უთხრეს. არადა, შარშანდელთან შედარებით, „ასტანაში“ ძალზე ბევრი რამ შეიცვალა, გუნდის ხელმძღვანელობით დაწყებული და მრბოლებით დამთავრებული. კერძოდ, „ასტანას“ სათავეში, აწ უკვე გაუქმებული, სახელგანთქმული ამერიკული ველოგუნდის, „დისქავერის“ შეფი იოჰან ბრიუნელი მივიდა და მან თან თავისი საუკეთესო მრბოლები, შარშანდელი „ტურის“ ჩემპიონი ალბერტო კონტადორი და მესამე პრიზიორი ლევი ლეიფემერი მიიყვანა, რომლებმაც დოპინგში გასვრილების, ალექსანდრ ვინოკუროვისა და ანდრეი კაშეჩკინის ადგილი დაიკავეს.

ისიც სათქმელია, რომ კონტადორს და ლეიფემერს „ასტანაში“ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მრბოლი ანდრეას კლოდენი დახვდათ და ისე გამოდიოდა, რომ ასეთი ხალხი ოდენ პროტურის სერიის რბოლების ამარა უნდა დარჩენილიყო.

სიტუაცია ამ რამდენიმე დღის წინ შეიცვალა: ჯერ იყო და, „ვუელტას“ ორგანიზატორები მოლბნენ და „ასტანას“ მიწვევა გაუგზავნეს, სულ ბოლო მომენტში კი ყაზახურ-ლუქსემბურგული გუნდის თავიანთ რბოლაში ხილვის სურვილი „ჯიროს“ ორგანიზატორებმაც გამოთქვეს.

არადა, „ჯირო“, უკვე ამ შაბათს იწყება პალერმოში და „ასტანა“ ერთბაშად იქცა იტალიური სუპერრბოლის მთავარ ფავორიტად.

ესპანელებისა და იტალიელების ეს უცაბედი გადაწყვეტილება ალბათ იმით არის განპირობებული, რომ ველოსპორტის ქომაგთა თვალში „ვუელტა“ და „ჯირო“ ახლოსაც ვერ მიდიან დიად „ტურ დე ფრანსთან“ და რადგანაც ნათელია, რომ ფრანგები „ასტანას“ არაფრის დიდებით არ დაუშვებენ თავიანთ რბოლაში, „ვუელტასა“ და „ჯიროს“ ორგანიზატორებმა, სავარაუდოდ იფიქრეს, კონტადორის, კლოდენის, ლეიფემერის გამოსვლით ჩვენს რბოლებს მეტი პრესტიჟი მიეცემა და ესეც „ტურის“ გზებზე ნასროლი ერთი ქვა იქნებაო.

ტანმოვარჯიშეთა გზები და ბეგმები

საქართველოს სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები შვეიცარიულ ლოზანაში, ევროპის ჩემპიონატზე წავიდა. შვეიცარიაში ორი ქართველი გამოვა — ილია გიორგაძე და დათო ნოზაძე. გიორგაძე მოსკოვში ვარჯიშობდა, ნოზაძე — თბილისში, ევროპის ჩემპიონატის წინ კი დასკვნითი მოსამზადებელი ეტაპი ორივემ 10 დღით სალონიკში გაიარა. ევროპრველობის მერე ტანმოვარჯიშეები მხოლოდ მსოფლიოს თასებზე გამოვლენ — 17-18 მაისს იაპონიაში, 21-22 ივნისს შვეიცარიაში, ბოლოს, ივნისის მიწურულს კი ესპანეთში.

მხატვრული ტანმოვარჯიშეებს რაც შეეხება, ისინი ივნისის შუა რიცხვებში იტალიის ქალაქ ტურინში ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. ბატუტზე მხტომელ ლუბა გოლოვინასთვის კი სპეციალურად უკრაინაში მოეწყობა ერთი შეკრება. შემდეგ კი ქართველები პეკინის ოლიმპიადაზე გამოვლენ. შეგახსენებთ, რომ საპეკინო ლიცენზიები ილია გიორგაძეს და ლუბა გოლოვინას აქვთ.

ლექსო მაისურაძე

ლუბა გოლოვინა

ილია გიორგაძეს ფოტო

მძლეოსნობა

9 მაისი მძლეოსნობის დღეა

9-10 მაისს ეროვნულ სტადიონზე მსოფლიო მძლეოსნობის დღის აღსანიშნავად ჭაბუკთა და ვაჟთა შეჯიბრი მოეწყობა. ეროვნულზე 21 რაიონიდან ჩამოსული 1991-92 წლებში დაბადებული მძლეოსნები მოიყრიან თავს. ტურნირში გამარჯვებულთა მონაცემები ევროპის მძლეოსნობის ფედერაციას გაეგზავნება და დიდი შანსია, ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის სანახავად უფასოდ გაემგზავრონ. მსოფლიოს მძლეოსნობის დღე საქართველოში 1999 წლიდან ტარდება და მას უკვე ტრადიციული სახე აქვს.

ლექსო მაისურაძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00